პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
18 აპრილი
1939 წ.
№ 89 (5489)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს გაზეთში:

ვემზადოთ ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის (მოწინავე).
ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებანი (1-ლი გვ.)
ა. ხარქისოვი — ბაქოს არალეგალური ბოლშევიკური სტამბა „ნინა“ (მე-2 გვ.)
ა. დიუვალი — „ლუმანიტეს“ 35 წელი (მე-2 გვ.)
ბოლშევიკური პრესის წარსულიდან: „ბრძოლა“—„პირველი ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი“; პარტიული ცხოვრება გაზეთ „დროს“ ფურცლებზე; „პროლეტარიატის ბრძოლა“. (მე-3 გვ.)
„წაპერწკლიდან“ მუსიკალური კომედიის თეატრში (მე-4 გვერდი).

უცხოეთში:

გამოძახილი რუზველტის მიმართვის გამო (1-ლი გვ.)
ჩინეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
მსოფლიო გამოფენა ნიუ-იორკში (მე-4 გვ.).

## ვემზადოთ ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

ახლოვდება ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე — 5 მაისი!

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების მრავალრიცხოვანი არმია, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ყოველწლიურად ათვალიერებს ბოლშევიკური პრესის განვლილ მუშაობას და სახავს მომავალ ამოცანებს. ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის მზადება მიზნად ისახავს იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენი პრესის მუშაობაში. მზადება მიზნად ისახავს ბოლშევიკური პრესის მძლავრი იარაღის კიდევ უფრო გამახვილებას, პრესის კიდევ უფრო მეტ და ნაყოფიერ მუშაობას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

ახალ ვითარებაში ტარდება წელს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე. ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე ახალი, უდიდესი ისტორიული ამოცანები დააყენა. ყრილობამ დაგვისახა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის შესანიშნავი პროგრამა. ყრილობამ დაგვისახა ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მძლავრ, უფრო კულტურულ ქვეყნად გადაქცევის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში ბეჭდვითი სიტყვას უდიდესი როლი ენიჭება. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მგზნებარე ხმას ყურს უგდებენ მშრომელთა ათეული მილიონები. განუზომელია ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის აღმზრდელობითი და დამრაზმავი ძალა. განუზომელია მისი როლი ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, მასების კომუნისტურად აღზრდის, მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანების შესრულების საქმეში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს პარტიას საფუძველი ეყრებოდა, ბოლშევიზმის ბელადები ლენინი და სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის შექმნას. ცნობილია, რომ ახალი ტიპის პარტიის აგების ლენინურ გეგმაში მთავარ რგოლს სწორედ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის შექმნა შეადგენდა. და კიდეც შექმნა ლენინმა „ისკრა“, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა კუსტარულობის დაძლევასა და ერთი მთლიანი პარტიის აგების საქმეში. ცნობილია, რომ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამიერკავკასიაში ახალგაზრდა სტალინი, ლ. კეცხოველთან და ს. წულუკიძესთან ერთად, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ სწორედ არალეგალური პრესის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის. და ამხანაგმა სტალინმა, თავის თანამებრძოლებთან ერთად, შექმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი ქართული გაზეთი „ბრძოლა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამიერ-კავკასიაში ლენინური იდეების გამარჯვებისათვის. ცნობილია, რომ ბოლშევიკური „პრავდა“, რომლის პირველი ნომერიც 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა, შექმნეს ლენინმა და სტალინმა სწორედ დაწყებული რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის კიდევ უფრო დაჩქარებისა და გაღრმავებისათვის. და ლენინურ-სტალინურმა „პრავდამ“ შეასრულა დაკისრებული როლი. ბოლშევიკური პარტიის ისტორიის მთელს მანძილზე ლენინი და სტალინი ჰქმნიდნენ და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ბეჭდვითს სიტყვას. ბოლშევიკური პრესის ისტორია ბოლშევიკური პარტიის ისტორიისაგან განუყოფელია.

ლენინურ-სტალინური ბეჭდვითი სიტყვის შესანიშნავ ტრადიციებზე იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ბოლშევიკური პრესა. მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდა, ღრმა პრინციპულობა, უმჭიდროესი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, კომუნიზმის საქმისათვის თავდადება და ხალხის უსაზღვრო სიყვარული, — აი რას სწავლობს ჩვენი პრესა ლენინური „ისკრისაგან“, სტალინური „ბრძოლისაგან“, ლენინურ-სტალინური „პრავდისაგან“.

ბოლშევიკური პრესის როლი და მნიშვნელობა უაღრესად გაიზარდა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ ჩვენი პრესა ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა. ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა ბეჭდვით პროპაგანდას ენიჭება. ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, პარტიის XVIII ყრილობაზე ჩამოსთვლიდა რა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებებს, ამბობდა:

„არასწორად იქნას მიჩნეული პროპაგანდის საწრეო სისტემით გატაცება, უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს პარტიის წევრთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი და პარტიის მთავარი ყურადღება მიექცეს პრესაში პროპაგანდის გაშლას და პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას“.

ბელადის ეს მითითება ჩვენს პრესას უდიდეს მოვალეობას აკისრებს. მართალია უკანასკნელ ხანებში ჩვენმა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო და სარაიონო გაზეთებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროპაგანდა, მაგრამ ის, რაც გაკეთდა მხოლოდ დასაწყისია. ჩვენს პრესას სხვა მრავალი ნაკლოვანებებიც აქვს. ზოგიერთი გაზეთი მასებთან მჭიდროდ არ არის დაკავშირებული. ასეთი გაზეთები მხოლოდ რედაქციის ფასიანი მუშაკების ხელით კეთდება და ამიტომ უფერული და უხერხემლონი არიან. ბევრი რაიონული გაზეთი გაურბის ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. განსაკუთრებით ერიდებიან რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა წყენინებას. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზესტაფონისა და ქობულეთის სარაიონო გაზეთები, რომლებიც ან ხელაღებით, დაუმსახურებლად აქებენ ვინმეს, ან უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ სწერენ კრიტიკას, როცა ეს საკითხი სათანადო ორგანიზაციების მიერ გარჩეულია. მაშასადამე ეს გაზეთები ფაქტების რეგისტრაციას ახდენენ. ბევრი ნაკლოვანებებია აგრეთვე რაიონული გაზეთების მუშაკებით უზრუნველყოფის, პოლიგრაფიული ბაზის გაუმჯობესების და სხვ. დარგებში. თავისი გაზეთის მდგომარეობითა და მუშაობით ზოგიერთი პარტორგანიზაცია არაა დაინტერესებული. პრესის დღისათვის მზადების დღეები უნდა გადავაქციოთ ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ენერგიული მუშაობის დღეებად.

პრესის დღისათვის მზადება და თვით პრესის დღე უნდა ჩატარდეს საქმიანად, ბოლშევიკურად, ხოლო რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ:

პირველი, — პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის სარაიონო კომიტეტებმა ბიუროს სხდომებზე მოისმინონ თავისი გაზეთის რედაქტორის მოხსენება და დასახონ ღონისძიებანი გაზეთის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მეორე, — გაზეთის მუშაობის ანგარიში ფართოდ იქნას განხილული საწარმო-დაწესებულებებში, მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე, კორესპონდენტთა შეკრებებზე. ეს შეკრებები უნდა ჩატარდეს გაზეთთან კორესპონდენტების მჭიდროდ დაკავშირების ნიშნით, მშრომელთა მასებთან გაზეთის დაახლოების, გაზეთის მუშაობაში მათი მეტი რაოდენობის მიზიდვის ნიშნით.

მესამე, — თვით პრესის მუშაკებმა კრიტიკულად გადასინჯონ ჩატარებული მუშაობა, გააუმჯობესონ კორესპონდენტთა აღზრდის საქმე, უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ძირეულ პრესას, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, კიდევ მეტი მონდომებით იბრძოლონ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაღრმავებისათვის, საგაზაფხულო თესვის წარმატებით დამთავრებისათვის და, რაც მთავარია ფართოდ გაშალონ პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, გააცნონ ეს გადაწყვეტილებანი თვითეულ მშრომელს.

„პრესა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველსაათობით ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი ენით, პარტიისათვის საჭირო ენით“.

ეს იარაღი კიდევ უფრო ბასრი გავხადოთ. ასეთია პრესის დღისათვის მზადების ამოცანა.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრისათვის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრის კოლექტივისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობა და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანულ დრამატიულ თეატრს მიეკუთვნოს მწერალ მირზა ფატალი ახუნდოვის სახელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ფ. მახარაძე**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ვ. ეგნატაშვილი**

1939 წ. 11 აპრილი,
თბილისი.

## ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის

### ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებანი

ჩაის მრეწველობის მუშაკთა წინაშე წელს დიდი ამოცანები დგას. ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სისტემის ფაბრიკებმა 1939 წელს უნდა გადაამუშაონ 43 მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩაის კრეფისა და გადამუშავების სეზონი ახლოვდება. იმ მიზნით, რომ საუკეთესოდ მოემზადონ ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის და სახელმწიფოს მისცენ მაღალი ხარისხის ჩაი, ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის მუშები, სპეციალისტები, მოსამსახურეები ჩაებნენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

1939 წლის სეზონში გეგმის გადამეტებით გამოუშვან შავი ბაიხის ჩაი, უმაღლესი ხარისხისა — 1.000 კილოგრამი, პირველი ხარისხისა — 5.000 კილოგრამი, მეორე ხარისხის პირველი კატეგორიისა — 3.000 კილოგრამი.

ამ კატეგორიების ზრდის ხარჯზე გეგმასთან შედარებით შეამცირონ მეორე ხარისხის მეორე კატეგორიის ჩაის გამოშვება 5.800 კილოგრამით, მეორე ხარისხის მესამე კატეგორიისა — 10.000 კილოგრამით. მესამე ხარისხის ჩაი სრულიად არ გამოუშვან. მთლიანად და უნარჩენოდ გამოიყენონ ჩაის ნედლეული.

შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 5 პროცენტით გეგმასთან შედარებით. ამ მიზნით შეამჭიდროონ სამუშაო დრო, დაეუფლონ წარმოების ტექნიკას და შექმნან ყველა პირობა ფაბრიკაში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ დანერგვისათვის.

სისტემატურად მოაწყონ ფართო საწარმოო თათბირები სტახანოველთა გამოცდილების გაზიარებისათვის, შეარჩიონ ორი საუკეთესო სტახანოველი ინდივიდუალური მომზადებისათვის, რათა შემდეგში ისინი წამოყენებულ იქნან საამქროს ოსტატთა თანამდებობაზე.

საჭკნობ და საროლერო საამქროებში მოაწყონ შინასაფაბრიკო სიგნალიზაცია. საქმით განახორციელონ სამი რაციონალური ღონისძიება მაინც ჩაის გადამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის.

ყოველმხრივ უზრუნველჰყონ მუშა-ხელის უფრო რაციონალური გამოყენება.

პროდუქციის თვითღირებულება 1938 წელთან შედარებით შეამცირონ 4 პროცენტით.

კაპიტალურ მშენებლობის დარგში დაშვებული თანხები მთლიანად აითვისონ 1939 წლის 12 დეკემბრისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის.

წარმოების მუშები 100 პროცენტით ჩააბან ტექმინიმუმის პირველი საფეხურის შემსწავლელ წრეში, ხოლო 60 პროცენტით ტექმინიმუმის მეორე საფეხურის წრეში იმ ანგარიშით, რომ ფაბრიკის მუშები მთლიანად დაეუფლონ ჩაის გადამუშავების ტექნიკას და აითვისონ სტახანოვური მუშაობის მეთოდები.

მოაწყონ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის შემსწავლელი კურსები და მიაღწიონ მუშების 100 პროცენტით ჩაბმას ამ საქმეში. უზრუნველჰყონ კლუბი, საერთო საცხოვრებელი და სასადილო, რადიო-სატრანსლაციო ქსელით.

მთელი მუშაობა იმნაირად წარმართონ, რომ უზრუნველჰყონ აგრეგატების უავარიო მუშაობა.

მთელი თავიანთი გამოცდილება და ცოდნა მოახმარონ ჩაის გადამუშავების ტექნიკის მთლიანად დაუფლებას და საბჭოთა ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ფაბრიკებს შორის გამოვიდეს პირველ ადგილზე და მაღლა ეჭიროს სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

ჩაის ფაბრიკის კოლექტივი სთხოვს ტრესტ „საქართველოს ჩაის“, სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკების მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, გაზეთების „კომუნისტისა“ და „საბჭოთა სუბტროპიკების“ რედაქციებს იყვნენ შეჯიბრების არბიტრები.

## სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

16 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში გეგმის გადამეტებით შესრულებისა და სანიმუშო სტახანოვური მუშაობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულთ.

ორდენები და მედლები მიიღო საფეიქრო მრეწველობის სტახანოველთა ინჟინერ-ტექნიკურ და ხელმძღვანელ მუშაკთა დიდმა ჯგუფმა სახალხო კომისრის ამხ. ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. დაჯილდოებულთა შორის არიან: სახკომის მოადგილე ამხ. ი. ნ. აკიმოვი, გ. ა. მალიავინი, დ. მ. ხაზანი, დრეზნინსკის ფაბრიკის ფეიქარი ქალი ამხ. ჰ. ი. გოლუბევა, ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ სავატერო საამქროს ოსტატი ამხ. ო. მ. გასილინა, იარცევის ფაბრიკის საფეიქრო განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ს. პ. კობიაკოვა, ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ფეიქარი ქალი ამხ. ე. ვ. მასლენიკოვა, ბამბის მრეწველობის მუშაკთა კავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. კ. სიმონენკოვი და სხვ.

ამხ. მ. ი. კალინინმა სრული წარმატება უსურვა დაჯილდოებულთ მათს მუშაობაში. (საკდესი).

## აღმოაჩინეს ვ. ი. ლენინის სიტყვის უცნობი ჩანაწერი

**ლენინგრადი,** 16 აპრილი (საკდესი). პარტიის ისტორიის ლენინგრადის ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. ბ. ბერკევიჩმა აღმოაჩინა ჩანაწერი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვისა, რომელიც მან მოსკოვის ერთერთ ქარხანაში წარმოსთქვა 1918 წლის ივლისში.

ვლადიმერ ილიას-ძე, გამოვიდა რა მუშათა კრებაზე, შეჩერდა იმ სასურსათო რაზმების მუშაობის საკითხებზე, რომლებიც რუსეთის სამრეწველო ცენტრებიდან მწარმოებელ რაიონებში იგზავნება. როგორც ცნობილია, მუშათა სასურსათო რაზმებმა დიდი როლი შეასრულეს კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად სოფლის ღარიბთა დარაზმვაში.

ამ სიტყვის ჩანაწერი დაბეჭდილი იყო 1918 წლის 21 ივლისს „პეტროგრადის სასურსათო კომისარიატის უწყებებში“ (გაზეთ „სევერნაია კომუნას“ დამატებაში). დღევანდლამდე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივებში ამ სიტყვის ტექსტი არ მოიპოვებოდა.

## პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მე-8 პლენუმი

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს 1939 წლის 22 აპრილს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი.

პლენუმი განიხილავს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა მუშაობის საკითხს, აგრეთვე საკითხს პროფორგანოების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, პროფკავშირების საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტების არჩევნების შესახებ. (საკდესი).

## გამოძახილი რუზველტის მიმართვის გამო

(საკდესის 16 აპრილის დეპეშების მიხედვით)

### ამერიკა

არგენტინის, კუბისა და პანამის პრეზიდენტები რუზველტისათვის გაგზავნილ დეპეშებში მიესალმებიან მის ინიციატივას.

რუზველტს სოლიდარობა გამოუცხადეს აგრეთვე ლათინური ამერიკის 9 ქვეყნის მთავრობებმა.

რუზველტის მიერ ჰიტლერისა და მუსოლინისათვის გაგზავნილი მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ ნიუ-იორკის ბირჟაზე აქციების კურსმა აიწია.

### ინგლისი

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი მთავრობის სახელით მიესალმებიან რუზველტის ინიციატივას.

### საფრანგეთი

საფრანგეთის გაზეთები რუზველტის მიმართვის მთავარ მნიშვნელობას იმაში ხედავენ, რომ მან უნდა აიძულოს ჰიტლერი და მუსოლინი ნათელი პასუხი გასცენ მიმართვაში დასმულ კითხვაზე.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი ბლიუმი გაზეთ „პოპიულერში“ აღნიშნავს, რომ რუზველტის მიმართვამ ხელი არ უნდა შეუშალოს მუშაობის განგრძობას „მშვიდობიანობის ძალთა ფრონტის“ შესაქმნელად. „თუ ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკა არ შეიცვალა,—სწერს ბლიუმი,—და მშვიდობის მოყვარე სახელმწიფოთა ფრონტი არ შეიქმნა, პრეზიდენტ რუზველტის მეცადინეობას წარმატების შანსები არ ექნება“.

### გერმანია

გერმანიის პრესა დიდი გაბოროტებით შეხვდა რუზველტის მიმართვას. გაზეთები მკაცრად ილაშქრებენ რუზველტის მიმართვის წინააღმდეგ და პირადად პრეზიდენტის წინააღმდეგ. ტონის მიმცემია ფაშისტური ოფიციოზი „ფელკიშერ ბეობახტერი“, რომელიც რუზველტის ამ ნაბიჯს „მოსატყუებელ მანევრს“ უწოდებს.

## იპოვნეს ვ. ი. ლენინის ავტომობილი

**სიმფეროპოლი,** 16 აპრილი (საკდესი). ქერჩში იპოვნეს ავტომობილი, რომლითაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი სარგებლობდა.

1920 წლიდან ვლადიმერ ილიას-ძე „როლს როისის“ მარკის ავტომობილით დადიოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ იგი ყირიმს გადაეცა და მისი კვალი დაიკარგა.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი რამდენიმე წლის განმავლობაში დაეძებდა ვლადიმერ ილიას-ძის ავტომობილს და მხოლოდ შარშან სრულიად შემთხვევით იპოვა იგი ქერჩში თევზის მრეწველობის მუშათა კავშირის საოლქო კომიტეტში.

ახლა ავტომობილი გადაგზავნილია ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში და რესტავრაციის შემდეგ დადგმული იქნება გორკში მუზეუმის ფილიალში.

## მოსკოვის თეატრის მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება

16 აპრილს დღისით სამხატვრო თეატრის ფილიალში შესდგა მოსკოვის თეატრების მუშაკთა კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი აკადემიკოსი მ. ბ. მიტინი.

საბჭოთა ინტელიგენციის ბედნიერი, სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრების, მესამე სტალინურ ხუთწლედში თეატრის მუშაკთა პასუხსაგები ამოცანების შესახებ ილაპარაკეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ნ. პაშენაიამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. მ. მიხოელსმა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ი. ი. სუდაკოვმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. ვ. ობრაზცოვმა და სხვ.

— პარტია, მთავრობა, ხალხი, — ამბობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, — უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნებას. თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა ვიყოთ ადამიანთა სულის ინჟინრები, ისე როგორც მწერლები, ჩვენ არ უნდა გავამარტივოთ რთული საგნები. საბჭოთა ხელოვნება ვერც სცენაზე, ვერც ეკრანზე, ვერც წიგნების ფურცლებზე ვერ იტანს სქემას, მოგონილ დებულებებს, შემგუებლობას. ჩვენი ვალია დავეხმაროთ ახალი ადამიანის აღზრდას. ახალი გამარჯვებებისაკენ მოვუწოდოთ მას ჩვენი ხელოვნებით და ჩვენს წინაშე გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად გვქონდეს **ლენინისა** და **სტალინის** დიადი სახეები!

მხურვალე ტაშით მიესალმა ყველა დამსწრე ი. მ. მოსკვინის სიტყვას.

კრების მონაწილეებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლ. მ. ლეონიდოვის წინადადებით მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით მიიღეს მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

(საკდესი).

## მესამე ხუთწლედის სესხის მოგებათა ტირაჟი

17 და 18 ივნისს ქ. სტალინოში შესდგება მესამე ხუთწლედის (პირველი წლის გამოშვების) სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

მეორე ტირაჟი შესდგება 23 და 24 ივლისს ქ. ბაქოში, მესამე — 23 და 24 ოქტომბერს ქ. დონის როსტოვში და მეოთხე — 23 და 24 დეკემბერს ქ. სტალინაბადში. (საკდესი).

მოქანდაკე ვ. თოფურიძის სკულპტურა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონისათვის. ფიგურების სიმაღლე 3 მეტრი.
ფოტო ვ. გინზბურგისა

## ბოლშევიკ პროპაგანდისტთა ახალი რაზმი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ი. მ. სვერდლოვის სახელობის პროპაგანდისტთა უმაღლეს სკოლაში 16 აპრილს გამოშვებულ იქნა ბოლშევიკ პროპაგანდისტთა ახალი რაზმი. სწავლა დაამთავრა 470 კაცმა. ისინი ყველანი პრაქტიკული პარტიული, პროპაგანდისტული და კომკავშირული სამუშაოდან მოვიდნენ სკოლაში.

მსმენელთა უმეტესობამ სწავლა „ფრიადზე“ და „კარგზე“ დაამთავრა.

კურსდამთავრებულნი ხელმძღვანელ პროპაგანდისტულ სამუშაოზე იგზავნებიან.

პროპაგანდისტთა გამოშვებისადმი მიძღვნილ საზეიმო სალამოზე პროპაგანდისტთა ამოცანების შესახებ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს გამგის მოადგილემ ამხ. პოსპელოვმა.

სალამოზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. იაროსლავსკიმ, ამხ. გრაჩინმა — საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მიშაკოვამ, პარტიის სოვეტსკი რაიკომის მდივანმა ამხ. კუჟევატოვმა.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბელად ამხანაგ სტალინისადმი.

(საკდესი).

## ისტორიულ არქივში აღმოაჩინეს ძვირფასი დოკუმენტები

**ლენინგრადი,** 15 აპრილი (საკდესი). ამ ბოლო დროს ლენინგრადის საოლქო ისტორიულ არქივში ძვირფასი დოკუმენტები აღმოაჩინეს. მათ შორის საქმე სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ა. კ. სოლოვიოვისა, რომელიც 1879 წლის 28 მაისს სიკვდილით იქნა დასჯილი ალექსანდრე II მოკვლის ცდისათვის. დიდ ინტერესს წარმოადგენს პირადი საქმეები უნივერსიტეტის სტუდენტების გენერალოვის, ოსიპანოვის და ანდრეიუშკინისა, რომლებიც ა. ი. ულიანოვთან ერთად 1887 წლის 8 მაისს სიკვდილით დასაჯეს ალექსანდრე III მოკვლის ცდისათვის.

ნაპოვნია აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტების გ. უსპენსკის, დ. პისარევის, ი. პავლოვის, კ. ტიმირიაზევისა და ა. ბლოკის პირადი საქმეები, საქმეები კომპოზიტორ ბოროდინის, მეჩნიკოვის, ჩერნიშევსკის, სემიონოვ-ტიან-შანსკის სამაგისტრო გამოცდების შესახებ. აღმოჩენილ დოკუმენტთა შორის არის მენდელეევის სამაგისტრო დიპლომის დედანი და მისი სადოქტორო დიპლომის დუბლიკატი, ი. ს. ტურგენევის საკუთარი ხელით დაწერილი თხოვნა უნივერსიტეტის მეორე კურსზე მისი მიღების შესახებ.

ყველა ეს დოკუმენტი აღმოაჩინეს ისტორიული არქივის თანამშრომლებმა ვ. პავლოვმა და ვ. რუმიანცევამ. ეს დოკუმენტები და მასალები ექსპონირებული იქნება იმ გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნება ლენინგრადის უნივერსიტეტის 120 წლისთავს.

## უკანასკნელი ცნობები

## იუგოსლავია საფრთხეში

**ლონდონი,** 17 აპრილი (საკდესი). ინგლისის პრესა იუწყება, რომ იუგოსლავიაში იზრდება შეშფოთება. მიუხედავად მუსოლინის დაპირებისა, სწერს „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი ზაგრებიდან, ალბანეთის ნავსადგურებში ყოველდღე მიდის იტალიის ჯარისა და იარაღის ტრანსპორტები.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი ზაგრებიდან იუწყება, რომ იუგოსლავიის ხელისუფალნი სამხედრო ხასიათის გამაფრთხილებელ ზომებს იღებენ.

ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებიც იუწყებიან, რომ იუგოსლავიაში საშინაო მდგომარეობა გამწვავდა. „ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ მოლაპარაკება სერბებსა და ხორვატებს შორის დროებით შეწყდა იმის შედეგად, რომ ხორვატებმა უარი განაცხადეს იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრის ცვეტკოვიჩის წინადადების მიღებაზე. კორესპონდენტის ცნობით, ცვეტკოვიჩმა წამოაყენა წინადადება შეიქმნას გაერთიანებული ნაციონალური მთავრობა, რომელშიაც შევლენ სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა წარმომადგენელნი, ხოლო შემდეგ დაარსდეს კომისია ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად, რომელმაც ავტონომია უნდა მისცეს ხორვატიას. ხორვატებმა უარჰყვეს ეს წინადადება და მოითხოვეს: პირველი, გამოცხადდეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ავტონომიას მისცემს ხორვატიას; მეორე, ჩატარდეს საყოველთაო არჩევნები იუგოსლავიაში; მესამე, შეიქმნას იუგოსლავიის ახალი მთავრობა არჩევნების შედეგების შესაბამისად; მეოთხე, გადაისინჯოს ხორვატიასა და სერბიას შორის არსებული საზღვარი იმგვარად, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა შეტანილ იქნას ხორვატიის ტერიტორიაში. და, ბოლოს, ხორვატები მოითხოვენ ხორვატთა ცალკე არმიის შექმნას სერბთა არმიის თანაბრად.

ფიქრობენ, რომ თუ ხორვატებმა საბოლოოდ უარჰყვეს მთავრობის წინადადება, ცვეტკოვიჩი გადადგება.

19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი იწვევს

**ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრებას**

დღის წესრიგი:

**საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ**

შესვლა საშვები ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ ქ. თბილისის პარტრაიკომები.

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის**
**საქალაქო კომიტეტი**

# ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება

## მეჩაიე სტახანოველთა შეკრება ზუგდიდში

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ზუგდიდში ჩატარდა ჩაის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მოწინავე ბრიგადირების, რგოლის ხელმძღვანელების, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სტახანოველების, აგრონომებისა და აგროტექნიკოსების სარაიონო შეკრება. შეკრებაზე ჩაის კრეფისათვის მზადებისა და ჩაის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ მტს-ის დირექტორი ამხ. ვ. ჩიქავა და სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ო. ფარცვანია, კოლმეურნეობა „ინგირის" თავმჯდომარე ამხ. ხ. ჭაჭუა, კოლმეურნეობა „დამკვრელის" თავმჯდომარე ამხ. ა. როგავა.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა კოლმეურნეობა „ინგირის" სტახანოველმა ქიონია სარსანიამ დამსწრეთ უამბო, თუ როგორ მიიღო შარშან 0,77 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 10.880 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. სარსანიამ შეკრებას მოუთხრო თავის გამოცდილებაზე, მუშაობის ხერხებზე. მანვე ვალდებულება აიღო მიმდინარე წელს მოჰკრიფოს 12.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ასევე თავიანთ შესანიშნავ გამოცდილებაზე ილაპარაკეს ჩაის კრეფის ოსტატებმა: პისტი თორდიამ, ტატიანა ყალიჩავამ, ხუხა შენგელიამ, თამარ ფარულავამ, კამა გუგუჩიამ, ცაბუ თორდიამ და სხვებმა.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის კრეფის სანიმუშოდ ჩატარებისათვის, მათ ყურადღება გაამახვილეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საკოლმეურნეო ბრიგადებში მუდმივი რგოლების შექმნა, შრომის მოწესრიგება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და შემოწმების შესრულების მოწესრიგება.

შეკრების მონაწილენი, ჩაებნენ რა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი 1939 წლის ჩაის ფოთლის კრეფის სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

**ხ. ეგრალიძე.**

## ცხაკაიას რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსოვანთა რგვის გეგმა

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

ცხაკაიას რაიონმა 15 აპრილისათვის ციტრუსოვანთა და ტუნგოს რგვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ციტრუსები დარგულია 165 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით. ციტრუსების რგვის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 121 პროცენტით, საკარმიდამო ნაკვეთებზე — 107 პროცენტით.

ტუნგო დაირგო 93 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით.

ციტრუსოვანთა რგვა საკარმიდამო ნაკვეთებზე გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

**შამუგია**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე

**ბერაია**

## ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსოვანთა რგვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

**მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რაც ფართოდ გაიშალა, ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ახალი ციტრუსოვანი პლანტაციების გაშენების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 34.000 ციტრუსოვანი ძირის ნაცვლად დარგულია 40.500.**

**ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა რგვა გრძელდება. (საქდესი).**

## 532 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაცია

**მახარაძე,** (საქდესი). მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, მახარაძის რაიონმა 15 აპრილისათვის შეასრულა ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენების საგაზაფხულო გეგმა. გაშენებულია 532 ჰექტარი ახალი პლანტაცია; რაც გეგმის 100,5 პროცენტს უდრის.

ამჟამად ციტრუსოვანთა პლანტაციებზე მიმდინარეობს ფუმიგაცია, ნიადაგის დაბარვა, ორგანიული და მინერალური სასუქების შეტანა.

## გორს ესტუმრებიან უკრაინისა და მოლდავეთის მოწინავე ადამიანები

**გორი,** 17 აპრილი (საქდესი). 22 აპრილს გორს ესტუმრებიან უკრაინის სსრ და მოლდავეთის ასს რესპუბლიკის მოწინავე რაიონების პროპაგანდისტები, აგიტატორები და სტახანოველები 300 კაცის რაოდენობით. სტუმრები დაათვალიერებენ სახლს, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა და გამოფენას ამხანაგ სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. 22 აპრილს საღამოს ისინი გაემგზავრებიან თბილისს, სადაც დაჰყოფენ 3 დღეს.

გორის მშრომელები აღფრთოვანებით ემზადებიან მოძმე რესპუბლიკების მოწინავე ადამიანთა შესახვედრად.

## მოვამზადოთ ტრაქტორისტი ქალები

100 ათასი ტრაქტორისტი ქალის მომზადების შესახებ საკ. ალკკ ც. კ.-სა და საკ. მიწსახკომის მოწოდების შესაბამისად წითელწყაროს რაიონში უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. მტს-მა (დირექტორი — ამხ. მ. ერიაშვილი) 4 თვენახევრიან კურსებზე სამეცადინოდ შეკრიბა 14 ქალი, 5 აპრილიდან მსმენელები სწავლობენ ყველა საჭირო საგნებს, ემზადებიან ტრაქტორისტებად.

ლანჩხუთის მტს-ის მივლინებით ტრაქტორისტად ქალების მომზადება სწარმოებს წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლაშიაც. საქმიწსახკომის გეგმით ტრაქტორისტი ქალები მომზადდებიან საქართველოს სხვა რაიონებშიაც.

საჭიროა ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის პრაქტიკული ღონისძიების გატარებას ფართოდ გამოეხმაურონ საქართველოს ყველა რაიონის მიწგანები, მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

**მიხ. წაქაძე.**

## ახალგაზრდა კოლმეურნეები მაღაროებში სამუშაოდ მიდიან

(ჭიათურა, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მოწოდებას და კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა წერილს ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობები.

სოფ. რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას, სადაც ეს საკითხი განიხილეს, 105 კაცი დაესწრო. სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობას ჰყავს ჭარბი მუშა-ხელი, მას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს სოციალისტურ მრეწველობას. კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ახალგაზრდა კოლმეურნეები ვარდენ სარალიძე და აფრასიონ ხვედელიძე, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი წავიდნენ სამუშაოდ ჭიათურის მარგანეცის ქარხმაღაროებში, აითვისონ მარგანეცის მრეწველობის ტექნიკა და ჩადგნენ შავი მეტალურგიის მოწინავე ადამიანთა რიგებში. საერთო კრებამ მათი სურვილი დააკმაყოფილა. ამ კოლმეურნეობიდან 20-ზე მეტი კოლმეურნე წავიდა მარგანეცის მრეწველობაში სამუშაოდ.

სოფელ ქორეთის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობიდან 16 კაცმა განაცხადა მარგანეცის მრეწველობაში სამუშაოდ წასვლის სურვილი.

დიდი ბელადის მოწოდების საპასუხოდ შომახეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნოე ჩაჩანიძემ და პლატონ ფოფხაძემ სთხოვეს გამგეობას ნება დართონ წავიდნენ მრეწველობაში სამუშაოდ. ასევე მოიქცნენ სოფ. სავანის კოლმეურნეობის წევრები ა. ცარციძე, გ. კომლაძე და ს. კომლაძე.

ამოცანა ამჟამად მდგომარეობს იმაში, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხელმძღვანელები ყოველმხრივ დაეხმარონ ახლად მიღებულ მუშებს კვალიფიკაციის შეძენაში და შეუქმნან მათ ყოველგვარი პირობა ნაყოფიერი შრომისათვის.

**ლ. ლოლაძე**

## ეხმაურებიან ლაგოდეხელთა გამოწვევას

**სიღნაღი,** (საკ. კორ.). 16 აპრილს წნორში ჩატარდა სიღნაღის რაიონის სტახანოველ მეთამბაქოეთა შეკრება. სტახანოვურ მოძრაობაზე და 1939 წლის სტახანოველთა ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ქურციკიძე.

როგორც შეკრებაზე გამოირკვა, შარშან მრავალმა კოლმეურნეობამ სტახანოვური მუშაობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ქვემომაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" ჰექტარზე საშუალოდ 14 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. ნაცვლად 68 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 271 კილოგრამი პირველი ხარისხის თამბაქო, ხოლო მეორე ხარისხისა 1294 კილოგრამი ნაცვლად 508-სა. თამბაქოს ასევე უხვი მოსავალი მიიღეს ტიბაანის ლიტვინოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მაგრამ იმის გამო, რომ საქობოს, ვაქირისა და სხვა კოლმეურნეობებმა ცუდად იმუშავეს, სიღნაღის რაიონმა 1938 წლის თამბაქოს დამზადების გეგმა ვერ შეასრულა.

შეკრებამ განიხილა ლაგოდეხის რაიონის სტახანოველ კოლმეურნეთა წერილი საქართველოს მეთამბაქოობის რაიონების ყველა კოლმეურნეობის, კოლმეურნე - სტახანოველებისა და აგროსპეციალისტებისადმი — 1939 წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღების შესახებ. წერილი დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტის" 15 აპრილის ნომერში.

ლაგოდეხელ კოლმეურნეთა წერილმა შეკრების მონაწილეები დიდად აღაფრთოვანა.

— გასულ წელს, — განაცხადა ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" საკოლმეურნეო ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. ნონიაშვილმა, ჰექტარზე 18,5 ცენტნერი თამბაქო მოვიყვანე. პირობას ვიძლევი წელს ჰექტარზე მოვიყვანო 20 ცენტნერი თამბაქო.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნინო ღვინიაშვილი, სტახანოველები ს. თეგაშვილი, მანანა ბოლღაშვილი, წნორის მტს-ის მეთამბაქოე აგრონომი ქებურია, რომელმაც სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ალაზნის მტს-ის აგრონომი მაღლაკელიძე.

სტახანოველებმა აღნიშნეს, რომ არსებობს ყველა პირობა თამბაქოს მოსავლიანობის თვალსაჩინოდ გადიდებისათვის.

შეკრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მეთამბაქოობის დარგში წარმატებათა უზრუნველსაყოფად და საჭიროდ სცნო 1939 წელსაც გაგრძელებულ იქნას სოცშეჯიბრება ყვარლის რაიონთან.

დასასრულ, შეკრებაზე დააჯილდოვეს 93 მეთამბაქოე სტახანოველი.

**ლ. ისაკოვი**

## ორი საპწკრით მუშაობა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტში" წარმატებით გამოიყენეს ევგენია ტარელკინას და როსტოვის ოლქის კონსტანტინოვკის სტამბის სხვა სტახანოველ ასოთამწყობთა გამოცდილება, რომელიც მათ მიღებული აქვთ ორი საპწკრით განუწყვეტელი აწყობის საქმეში.

ამხ. ე. ტარელკინას მომართვას ერთერთი პირველი გამოეხმაურა 40 წლის სტაჟის მქონე ასოთამწყობი სტამბა „კომუნისტის" მოწინავე მუშა, საკ. კ. პ. (ბ) წევრი არტემ ივანეს-ძე კარაპეტიანი. 27 მარტს იგი ახალი მეთოდით მუშაობდა. მან 7 საათის განმავლობაში 7 კვადრატზე 16.000 ნიშნის ნაცვლად 21.700 ნიშანიააწყო. 28 მარტს 4 კვადრატზე 6 საათისა და 32 წუთის განმავლობაში 21 ათასი ნიშანი ააწყო.

სტამბა „კომუნისტის" ერთერთი საუკეთესო ასოთამწყობი ამხ. მ. იმნაძე

შესანიშნავი წარმატებები აქვს კომკავშირელ მოწაფეს მარიამ იმნაძეს, რომელიც სულ ერთი წელია, რაც ასოთამწყობად მუშაობს. 27 მარტს მან ახალი მეთოდი გამოიყენა და 7 კვადრატზე 18.500 ნიშანი ააწყო, 28 მარტს კი—23.700 ნიშანი (შერეული აწყობის დროს 4 და 7 კვადრატზე).

კორექტურის ჩასწორებას ამხ. კარაპეტიანმა 15 წუთი მოანდომა, ამხ. იმნაძემ კი—20 წუთი.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საპელგამის სტამბაშიც, სადაც 27 მარტს კომკავშირელმა ასოთამწყობმა ამხ. გიგაურმა ორი საპწკრით 19.900 ნიშანი ააწყო, ხოლო ასოთამწყობმა ამხ. ზვიადაძემ — 19.750 ნიშანი.

ორი საპწკრით აწყობის ახალ მეთოდს უეჭველად დიდი მომავალი აქვს. იგი შრომის ნაყოფიერებას ადიდებს და შესაძლებლობას იძლევა სწორად განაწილდეს შრომა წარმოებაში.

მისასალმებელია საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორი საპწკრით აწყობის მეთოდი ფართოდ იქნას გავრცელებული რესპუბლიკის ყველა სტამბაში.

**იასონ მხატვარი**

„კომუნისტის" სტამბის დირექტორის მოადგილე.

l'Humanité

ORGANE CENTRAL DU PARTI COMMUNISTE FRANÇAIS (S.F.I.C.)

## „ლუმანიტეს" 35 წელი

1939 წლის 19 აპრილი ღირსშესანიშნავი თარიღია საფრანგეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ დღეს, 35 წლის წინათ, გამოვიდა გაზეთ „ლუმანიტეს", ამჟამად საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს, კაპიტალისტური ქვეყნების უძველესი კომუნისტური გაზეთის პირველი ნომერი.

„ლუმანიტე" 1904 წელს შექმნა საფრანგეთის მუშათა კლასის მგზნებარე ტრიბუნმა ჟან ჟორესმა. ეს დაკავშირებული იყო დიდ რისკთან იმ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზიული პრესის გავლენა ღრმად შეიჭრა მუშათა კლასში. თავისი არსებობის პირველი დღიდანვე „ლუმანიტეს" მოუხდა ბრძოლა მრავალ სიძნელესა და დაბრკოლებასთან, რასაც მას უქმნიდა ბურჟუაზიული პრესა და იუსტიცია. ჟორესი და მისი მეგობრები არ შეუშინდნენ რისკს და გამარჯვებულები გამოვიდნენ თითქოს უთანასწორო ბრძოლიდან.

1914 წელს, როდესაც პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისში ჟან ჟორესი დაიღუპა საზიზღარი მკვლელის ხელით, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლის მიერ ორგანიზებული გაზეთის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს უკიდურესმა სოციალ-შოვინისტებმა. იგი მათ ხელში დარჩა 1920 წლამდე—ტურში მოწყობილ კონგრესამდე, რომელზედაც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთებას. ამ დროიდან „ლუმანიტე" გადაიქცა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოდ.

გაზეთს სათავეში ჩაუდგა ამხ. მარსელ კაშენი, საფრანგეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობის უძველესი და ნაცადი მებრძოლი. მასთან ერთად გაზეთს ხელმძღვანელობდა (1937 წლის ოქტომბერში უეცარ გარდაცვალებამდე) უნიჭიერესი ჟურნალისტი და მწერალი კომუნისტი პოლ ვაიან-კუტიური.

„ლუმანიტე" ყოველდღე ხუთ გამოცემად გამოდის. ერთი მათგანი დანიშნულია პარიზისათვის, ოთხი—პროვინციისათვის. გარდა ამისა, გამოდის სპეციალური პატარა ფურცლები ქალებისათვის, ბავშვებისათვის, გლეხებისათვის.

„ლუმანიტე" გახდა ფრანგი ხალხის საუკეთესო, მოწინავე ნაწილის ტრიბუნა. გაზეთი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის მტრებთან, ამხელს მექრთამე ბურჟუაზიული პრესის სიცრუეს.

„ლუმანიტემ" მასალის მრავალფეროვნობით, ოპერატიულობით, უბრალო და ცოცხალი გადმოცემით მოიპოვა პოპულარობა მკითხველთა შორის. იგი გახდა ნამდვილი სახალხო გაზეთი, რომელიც საფრანგეთის მშრომელთა ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. კრიტიკულ მომენტში მიმართა თუ არა რედაქციამ თავის მკითხველებს მოწოდებით დახმარების შესახებ, ათასობით მშრომელები ამცირებდნენ თავის ისედაც მცირე ბიუჯეტს, უგზავნიდნენ თავის გაზეთს ფულს, აწყობდნენ ფულის მოგროვებას იმისათვის, რომ „ლუმას", როგორც მუშები სიყვარულით ეძახიან თავის მშობლიურ გაზეთს, შესძლებოდა არსებობის განგრძობა.

„ლუმანიტეს" რედაქციის გარშემო შეიქმნა ფართო განშტოებული ქსელი ნებაყოფლობითი დამხმარეებისა, ერთგული მეგობრებისა, რომლებიც მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი, რომ დაეხმარონ თავის „ლუმას" და დაიცვან იგი. გაზეთის გავრცელებაში, კომუნისტური ორგანიზაციების გარდა, მონაწილეობენ ათეული ათასობით მოხალისეები, მათ შორის ბევრი უპარტიო.

ამჟამად „ლუმანიტეს" თავისი ტირაჟით მესამე ადგილი უჭირავს საფრანგეთის სხვა დილის ყოველდღიურ გაზეთებს შორის. მან გაუსწრო ისეთ ბურჟუაზიულ გაზეთებს, როგორიცაა „ტანი", „მატენი" და სხვ. „ლუმანიტეს" საშუალო ტირაჟმა ამჟამად მიაღწია 350 ათას ეგზემპლარს და 1934 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გაიზარდა.

რედაქციას უდიდეს დახმარებას უწევენ ეგრეთწოდებული „ლუმანიტეს" დაცვის კომიტეტები". ასეთი კომიტეტები ახლა ასობითაა. მათი წევრები ყოველ კვირადღეს დამატებით ავრცელებენ „ლუმანიტეს" 150 ათასამდე ეგზემპლარს.

ფაშისტი ბანდიტები და მათი დამქაშები ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ გაზეთ „ლუმანიტეს" გავრცელებას. გაზეთის მეგობრებს არაერთხელ დასხმიან თავს,—ასეთ წუთებში მოხალისე გამყიდველებს მუშები დაეხმარებიან ხოლმე. ტერორისა და მუდმივი მუქარის მიუხედავად, „ლუმანიტეს" გავრცელება უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს იღებს.

მეტად საინტერესოა მეთოდები, რომელსაც „ლუმანიტეს" რედაქცია იყენებს მკითხველებთან კავშირის დასამყარებლად. რედაქცია ეხმარება მათ საინტერესოდ და სასარგებლოდ გაატარონ თავისუფალი დრო, აწყობს მათთვის სხვადასხვა ექსკურსიებსა და დღესასწაულებს, რომლებიც უკვე შევიდნენ მშრომელთა ყოფაცხოვრებაში და ყოველ წელიწადს მეორდებიან. ასე, მაგალითად, ყოველ გაზაფხულს „ლუმანიტე" აწყობს „ლუმანიტეს" კროსს, რომელიც საერთაშორისო ცნობილი გახდა და რომილოშიც, როგორც წესი, მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საუკეთესო სპორტსმენებიც.

გაზეთისა და მკითხველთა დაკავშირების დღესასწაული, რომელიც ყოველი წლის შემოდგომაზე ეწყობა პარიზის ერთერთ საგარეუბნო პარკში, იზიდავს ასიათასობით მუშებს ცოლებითა და შვილებით.

ცნობილია გაზეთის უდიდესი როლი სახალხო ფრონტის ორგანიზაციაში. მისი გამოსვლები ჰიტლერის აგენტების დანაშაულებრივი მახინაციების წინააღმდეგ საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა გამოსვლები, ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. საფრანგეთში არავის არ გაუკეთებია ფაშისტური ორგანიზაციების გამომჟღავნებისათვის იმდენი, რამდენიც გააკეთა „ლუმანიტემ". ეგრეთწოდებული „საბრძოლო ჯვრების" ფაშისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ მუშათა სტიქიური ბრძოლა 1934 წლის თებერვლის პუტჩის დროს „ლუმანიტემ" გამოიყენა ფართო მოძრაობისათვის სახალხო ფრონტის შექმნის სასარგებლოდ.

„ლუმანიტემ" ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ საფრანგეთის მშრომელებისათვის ეჩვენებინა სიდიადე ესპანელი ხალხის გრანდიოზული ბრძოლისა ფაშისტი მეამბოხეებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. „ლუმანიტეს" ინიციატივით მთელ საფრანგეთში მოეწყო ესპანელი ქალებისა და ბავშვებისათვის დახმარების ფართო კამპანია.

პირველი ფრანგული გემი სურსათით ესპანეთისათვის გაიგზავნა „ლუმანიტეს" მიერ შეგროვილი სახსრებით. ამ გემზე იმყოფებოდა „ლუმანიტეს" რედაქტორი პოლ ვაიან-კუტიური. გაზეთმა ხელი შეუშალა „ხიჩუმის შეთქმულებას", რომლის მოწყობას ცდილობდა საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ესპანეთის რესპუბლიკის ასიათასობით გმირი დამცველებისადმი ალმაშფოთებელი და დანაშაულებრივი დამოკიდებულების გარშემო, გმირების, რომლებიც ცდილობდნენ ეპოვნათ თავშესაფარი საფრანგეთში.

„ლუმანიტე" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის გაშუქებას, სტალინური ხუთწლედების გრანდიოზულ პრობლემებსა და გამარჯვებებს.

„ლუმანიტემ" განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკ. კ. პ. (ბ) XVIII პარტიული ყრილობის ისტორიულ სამუშაოთა გაშუქებას. ყრილობას დაესწრო გაზეთის ერთერთი რედაქტორი, რომელიც „ლუმანიტეს" მკითხველებს სისტემატურად აწვდიდა ცნობებს ყრილობის შესანიშნავი მუშაობის შესახებ. თავისი „ლუმას" მეოხებით საფრანგეთის მშრომელებმა შესაძლებლობა მიიღეს დაწვრილებით გასცნობოდნენ ამხანაგ სტალინის, ამხ. მოლოტოვის, ამხ. ჟდანოვის მოხსენებებს და სხვა უდიდეს მნიშვნელოვან გამოსვლებს ყრილობაზე.

„ლუმანიტე" ყველაზე დიდი კომუნისტური გაზეთია კაპიტალისტურ სამყაროში. საფრანგეთის მშრომელ მასებს ამ გაზეთის სახით ჰყავთ საუცხოო ორგანიზატორი, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიადი იდეების მგზნებარე აგიტატორი და პროპაგანდისტი.

**ა. დიუვალი**

**თბილისი.** სახლი ავლაბარში, სადაც სარდაფში მოთავსებული იყო არალეგალური სტამბა რ.ს.-დ.მ.პ. კავკასიის კავშირის კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი.

ფოტო რ. ტკოფოვისა

**ა. სარქისოვი**

## ბაქოს არალეგალური ბოლშევიკური სტამბა „ნინა"

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესტავრირებულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბაქოს არალეგალური სტამბა (კონსპირატული სახელწოდება — „ნინა"), რომელიც შექმნილი იყო 1901 წელს ამხანაგ სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით.

სტამბა „ნინამ" იარსება 1901-დან 1905 წლამდე. იგი იყო ბოლშევიკური პრესის მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა ამიერ-კავკასიაში.

ამ სტამბის მუშაობა განუყრელად დაკავშირებულია ლენინური „ისკრის" სახელოვან ისტორიასთან. ლენინმა შეადგინა რუსეთში „ისკრის" ნომრების ფართოდ გადაბეჭდვის გეგმა, ვინაიდან უცხოეთიდან ლიტერატურის გზავნა მეტისმეტად რთული საქმე იყო. ბაქოში სტამბის შექმნა გამოწვეული იყო მუშათა მოძრაობის სწრაფი ზრდით. ლენინის აზრით, ბაქო ყველაზე საუკეთესო და მოხერხებული ადგილი იყო პარტიული ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელებისათვის მძლავრი არალეგალური ბაზის შესაქმნელად.

ამ მიზნით „ისკრის" რედაქციამ 1901 წლის გაზაფხულზე გაგზავნა თავისი აგენტი ბაქოში. ლენინი პირადად იჩენდა ინტერესს ყველა საკითხისადმი, რომელიც დაკავშირებული იყო ბაქოს სტამბის შექმნასთან.

ლენინის იდეა ხორციელდებოდა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. მისი დავალებით ლადო კეცხოველი წავიდა ბაქოში და პირადად მოაწყო არალეგალური სტამბა „ისკრის" გადასაბეჭდად. ლენინური „ისკრა" იბეჭდებოდა საზღვარგარეთ „... მეტად თხელ და გამძლე ქაღალდზე და ფარულად იგზავნებოდა რუსეთში. „ისკრის" ცალკეული ნომრები ხელახლა იბეჭდებოდა რუსეთში, ბაქოს, კიშინიოვის, ციმბირის ფარულ სტამბებში" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 30, ქართ. გამ.).

არალეგალური სტამბის მთელი რიგი მუშაკების დაპატიმრების შემდეგ იგი გადატანილ იქნა ახალ ბინაში, 1-ლ პარალელურ ქუჩაზე, № 102 სახლში, ამჟამად იქ იმყოფება რესტავრირებული სტამბა — მუზეუმი.

ახალ შენობაში სტამბა გადააკეთეს. „ისკრის" რედაქციის დახმარებით სტამბამ უცხოეთიდან მიიღო დიდი ბრტყელი საბეჭდავი მანქანა. ამასთან დაკავშირებით ძველი საბეჭდავი მანქანა, ამხანაგ სტალინის წინადადებით, გადატანილ იქნა თბილისში, ავლაბრის ცნობილ სტამბაში.

ბაქოს ბოლშევიკებმა მოხერხებულად შესძლეს ბაქოს სტამბის კონსპირირება და გადააქციეს იგი ისკრის რუსეთის ორგანიზაციის დასაყრდენ პუნქტად. სტამბის შენობისათვის გამოყენებულ იქნა გრძელი ფარდული, რომელშიც იდგა ეტლები, ცხენები და მოთავსებული იყო ფურაჟი.

მეფის პოლიცია და ჟანდარმერია უშედეგოდ ცდილობდნენ აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ სტამბა.

„ამხ. კეცხოველმა ისე კარგად შესძლო სტამბა „ნინას" კონსპირირება, რომ დიდიხნის განმავლობაში პოლიციას ეჭვიც არ შეჰპარვია მის არსებობაში. მაგრამ 1901 წლის 31 დეკემბერს ბაქოს საბაჟოში შემთხვევით გახსნეს უცხოეთიდან გამოგზავნილი ყუთი ორმაგი ძირით, რომელშიც მოთავსებული იყო „ისკრის" მორიგი ნომრის კლიშეები (კლიშე არის ტყვიის თხელი ფირფიტა, რომელზედაც ზუსტად აღბეჭდილია ანაწყობი). ამ შემთხვევამ აპოვნინა ჟანდარმებს კვალი: ბაქოში არალეგალური სტამბის არსებობის ფაქტი მათთვის ცხადი შეიქნა", —სწერს „ბაკინსკი რაბოჩი".

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მაძებრები გახელებით დაეძებდნენ სტამბას, აპატიმრებდნენ და ჩხრეკდნენ რევოლუციურ მუშებს, სტამბა მაინც შეუფერხებლივ მუშაობდა. მან თავისი არსებობის განმავლობაში ბაქოში გამოსცა სხვადასხვა ლიტერატურა მილიონზე მეტი ეგზემპლარის რაოდენობით; 548 ფუთი ლიტერატურიდან, რომელიც ორგანიზაციებს გაეგზავნათ, მხოლოდ 32 ფუთი ჩაუვარდა ხელში პოლიციას.

„ბაქოს სტამბა თითქმის მთელ რუსეთს ამარაგებდა „ისკრით", — სწერს თავის მოგონებებში ნ. კ. კრუპსკაია.

„ისკრის" გარდა ბაქოს არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთი „ბრძოლა", სადაც მოთავსებული იყო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი სტატიები. აქვე სწარმოებდა გადაბეჭდვა ლენინის ბროშურებისა „სოფლის ღარიბი მოსახლეობისადმი", „რა ვაკეთოთ?" და სხვების, აგრეთვე იბეჭდებოდა სტატიები „ისკრიდან" და მთელი რიგი პროკლამაციები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

ბაქოს ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქო მოკლე ხნის განმავლობაში ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ გადააქციეს. ბოლშევიკურმა პრესამ ხელი შეუწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების საქმეს, იგი დაეხმარა ბოლშევიკებს დაერაზმათ ბაქოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად.

1902 წელს „ისკრა" უკვე იუწყებოდა ბაქოს მუშების გრანდიოზული საპირველმაისო დემონსტრაციის შესახებ. „ისკრა" გახდა ბაქოს მუშების საყვარელი გაზეთი. 1902 წლის ივლისში ბაქოს მუშები სწერდნენ წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო „ისკრაში" (№ 22):

„ჩვენ, ბაქოელმა მუშებმა, სხვა ქალაქების მუშებს რომ არ ჩამოვრჩეთ, გადავწყვიტეთ გადავდგათ პირველი ნაბიჯი წმინდა საქმისაკენ... ჩვენ მოგვაგონდა დეკაბრისტების პასუხი პუშკინისადმი: „ნაპერწკლიდან გაჩაღდება ალი..." მაგრამ ძლიერი ალი რომ გაჩაღდეს, ამისთვის საჭიროა ჩვენი ნაპერწკლები მოედოს მთელ ქალაქს, რომ ერთბაშად აგიზგიზდეს დიდი ცეცხლი".

ეს „დიდი ცეცხლი" აგიზგიზდა ბაქოში 1903 წლის ივლისში. ბაქოს სარეწაოებზე დაიწყო დიდი გაფიცვა.

ბაქოელების პირველ ნაბიჯს მოჰყვა შემდგომი ნაბიჯები, კიდევ უფრო გადამწყვეტი, უფრო რევოლუციური. ბაქოს 1904 წლის დეკემბრის ცნობილი გაფიცვით დაიწყო საყოველთაო გაფიცვების ახალი ხანა, იგი „გახდა სიგნალი იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლებისა მთელ რუსეთში" **(სტალინი).**

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშის მომზადებაში, ბაქოსა და მთელ ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში ბაქოს სტამბამ, სადაც ასობით და ათასობით იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები, ფურცლები, პროკლამაციები, განსაკუთრებული როლი ითამაშა, ვინაიდან პრესა იყო საუკეთესო აგიტატორი, პროპაგანდისტი და მასების ორგანიზატორი. პარტიის ბაქოს კომიტეტის პროკლამაციები ვრცელდებოდა ქალაქის ყველა კუთხეში, ქარხნებში, ფაბრიკებში, სარეწაოებზე, კრებებზე, თეატრებში წარმოდგენების დროს.

ბაქოს ბოლშევიკური სტამბის მთელი ეს დიდი მუშაობა ნაჩვენებია რესტავრირებულ სტამბა „ნინაში". მრავალრიცხოვანი ექსპონატებით, სურათებით და ქანდაკებებით გამოხატულია არალეგალური სტამბის მოწყობილობა, მთლიანად ნაჩვენებია მისი მოწყობილობა. აქვე დადგმულია უცხოეთიდან ჩამოტანილი ის საბეჭდავი მანქანა, რომელიც ბეჭდავდა 1200-მდე საგაზეთო ფურცელს საათში, საამწყობო კასები შრიფტებით. აქვე გამოფენილია „ისკრის" რამდენიმე ნომრის პირველი გვერდების ფოტოასლები, „ისკრის" აგენტების: ლიტვინოვის, კურნატოვსკის, ბაბუშკინის, ბაუმანისა და სხვების პორტრეტები. რესტავრირებულია ის ოთახიც, სადაც ცხოვრობდნენ სტამბის მუშაკები. არალეგალური ბოლშევიკური გაზეთების ათეული ნომრები, რომლებიც გამოფენილია სტამბა-მუზეუმში, თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, ბაქოს ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით როგორ ანადგურებდნენ ეკონომისტებს, მენშევიკებს, იუდა-ტროცკის, ესერებს, დაშნაკებს, ფედერალისტებს — მუშათა კლასის საქმის ყველა გამცემლებს. მრავალრიცხოვანი მნახველები მღელვარებით ათვალიერებენ სტამბა-მუზეუმის თვითეულ ექსპონატს, სტამბის, რომლის დახმარებითაც ბოლშევიკების პარტია აიარაღებდა ბაქოსა და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, აიარაღებდა რევოლუციის გამარჯვების რწმენით, რაზმავდა მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

იუწყება რა სტამბა-მუზეუმის გახსნის შესახებ, „ბაკინსკი რაბოჩი" (20 იანვარი) სწერს: „ამჟამად რესტავრირებული სტამბა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს და შეიძლება იყოს თვალსაჩინო სახელმძღვანელო საკ. კ. პ. (ბ) სახელოვანი ისტორიის შესასწავლად. ეცნობა რა სტამბა-მუზეუმის მასალებს, თვითეული მშრომელი უფრო მეტად იმსჭვალება უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით უძლეველი ბოლშევიკური პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის—მშობლიური სტალინისადმი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც 38 წლის წინათ მოწყობილ იქნა ეს სტამბა, რომელიც ბოლშევიკური იატაკქვეშეთის შესანიშნავ ქმნილებას წარმოადგენს".

„ბოლშევისტსკაია პეჩატ" № 5, 1939 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლშევიკური პრესის წარსულიდან



## ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური პრესის ქრონიკიდან

★ 1898 წელი. ამხანაგები სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე აყენებენ არალეგალური პრესის შექმნის ამოცანას. ამ საკითხის გამო წამოიჭრა მათი პირველი ძირითადი უთანხმოება „მესამე დასის" უმრავლესობასთან.

★ 1900 წელს ამხანაგების სტალინისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით თბილისში ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალურად ბეჭდვა.

★ 1901 წლის დამდეგს ბაქოში დაიწყო მუშაობა არალეგალურმა სტამბამ, რომელიც მოწყობილი იყო ამხ. ლ. კეცხოველის მიერ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დახმარებით.

★ 1901 წლის სექტემბერში ბაქოს არალეგალურ სტამბაში გამოდის გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომერი.

★ 1902 წლის იანვარში ბათუმში ამხანაგი სტალინი აწყობს არალეგალურ სტამბას. სტალინური პროკლამაციები ფართოდ ვრცელდება ბათუმის მუშებს შორის და საქართველოს რაიონებში.

★ 1902 წლის დამდეგს გამოვიდა „ბრძოლის" ფურცელი", რომელშიც იბეჭდებოდა კორესპონდენციები მუშათა მოძრაობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

★ 1903 წლის 14 (1) ნოემბერს გამოდის „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

★ 1903 წელს თბილისში იწყება ავლაბრის არალეგალური სტამბის შენება.

★ თბილისში და ბაქოში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები:

**„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ"** — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლეგალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რუსულ ენაზე თბილისში 1905 წლის 20 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე. გამოვიდა 15 ნომერი.

**„პროლეტარიატის ბრძოლა"** („ბორბა პროლეტარიატა", „პროლეტარიატი კრივ" — სომხურად)—რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1903-დან 1905 წლამდე ამხანაგების სტალინის, ა. წულუკიძის და ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. სულ 12 ნომერი გამოვიდა.

**„ახალი დროება"** — ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1906 წლის 14 ნოემბრიდან 1907 წლის 8 იანვრამდე. სულ გამოვიდა 1906 წელს 7 ნომერი და 1907 წელს 2 ნომერი.

გაზეთში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები (ფსევდონიმი „კო").

**„დრო"** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე. გაზეთში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები (ფსევდონიმი „კო").

**„ახალი ცხოვრება"** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი. გაზეთი გამოდიოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით თბილისში 1906 წლის 20 ივნისიდან 14 ივლისამდე. სულ 20 ნომერი გამოვიდა.

გაზეთში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები (ფსევდონიმი „კობა").

**„ჩვენი ცხოვრება"** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი. გამოდიოდა ქართულ ენაზე 1907 წლის 18 თებერვლიდან 7 მარტამდე. სულ გამოვიდა 13 ნომერი. გაზეთში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები (ფსევდონიმები „კო" და „კობა")

ამასთანავე სხვადასხვა დროს თბილისში და ბაქოში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა გაზეთები: „კაიწ", „ნორ-ხოსქ", „ბაკინსკი რაბოჩი" და სხვ.

„...არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს; მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და „მესამე დასის" ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალურ გაზეთ „კვალის" წინააღმდეგ ბრძოლა.

1901 წლის სექტემბერში ამხ. კეცხოველმა ბაქოში გამოუშვა თბილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომერი.

...გაზეთი „ბრძოლა"—თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

გაზეთი „ბრძოლა" ასაბუთებდა და ავითარებდა იმის აუცილებლობას, რომ სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციები გადასულიყვნენ მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მოეწყოთ მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.

გაზეთ „ბრძოლას" თავისი თავი მიაჩნდა საერთო-რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ადგილობრივ ორგანოდ. იგი იცავდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განუყრელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან.

გაზეთ „ისკრის" იდეა ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე ერთიანი რევოლუციური პარტიის მოწყობის შესახებ, გაზეთმა „ბრძოლამ" თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა".

„...1904-1907 წლების პერიოდში ამხანაგი სტალინი, რომელიც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა სათავესთან დგას, უდიდეს თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს მთელი ბოლშევიკური პრესის ბრძოლას".

ლ. ბერია

## „პროლეტარიატის ბრძოლა"

1903 წლის მარტში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველმა ყრილობამ მიიღო დადგენილება ერთ ორგანოდ გაეერთიანებინა ქართული ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა" და სომხური გაზეთი „პროლეტარი". დადგენილება შესრულებულ იქნა. ორივე ორგანოს ნაცვლად თბილისში დაიწყო გამოსვლა ერთმა გაზეთმა სახელწოდებით „პროლეტარიატის ბრძოლა".

გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ამხანაგები ი. სტალინი, ა. წულუკიძე და ს. შაუმიანი.

გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", წარმოადგენდა რა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს, თავისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით აგრძელებდა პირველი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის" ლენინურ-ისკრულ ხაზს.

გაზეთი პირველი ნომრიდანვე აშუქებს მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან საკითხებს. მასში იბეჭდება ლენინის და სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო წერილები. გაზეთის პირველ ნომერში (1903 წ. აპრილ-მაისი) თარგმნილია გაზ. „ისკრაში" დაბეჭდილი ლენინის სტატია: „თვითმპყრობელობა ირყევა".

მეორე ნომერში, (№ 7 ქართულად, № 4 სომხურად), რომელიც გამოსულია 1904 წლის 14 (1) სექტემბრის თარიღით, მოწინავე წერილი მიძღვნილია ლადო კეცხოველის ხსოვნისადმი. შემდეგ მიდის „ისკრიდან" თარგმნილი სტატია სათაურით „ვინ გაიმარჯვებს", რომელიც დაწერილია რუსეთ-იაპონიის ომის გამო. წერილში ლენინურად არის გარკვეული მუშათა კლასის ბრძოლის მიზნები და ამოცანები. „პოლიტიკური თავისუფლება, — სწერია წერილში, — მუშებს უნდა არა თავის თავად, არამედ როგორც საშუალება უფრო ფართე მიზნისათვის... თავისუფლება ჩვენ გვინდა სოციალიზმისათვის საბრძოლველათ, რადგან მხოლოდ სოციალიზმი განათავისუფლებს მილიონ მუშებს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად კაპიტალისტებისაგან... ამას კი ჩვენ ნებით არავინ მოგვცემს, ეს ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ".

„პროლეტარიატის ბრძოლის" მეოთხე ნომერი (გამოვიდა 1905 წლის ივლისში) იწყება ნეკროლოგით საშა წულუკიძეზე. ნომერში მოთავსებულია ლენინის მიერ დაწერილი „რეზოლუცია რ.ს-დ. მუშათა პარტიის მესამე კრებისა კავკასიაში მომხდარი ამბების გამო" და სტატია „მესამე კრება". შემდეგ მიდის წერილები „მესამე კრება კავკასიელ „მეუმცირესეთა" სამსჯავროს წინაშე", „დროებითი რევოლუციონური მმართველობა და ჩვენი ტაქტიკა", „თბილისის „უმცირესობის" ახალი აღმოჩენანი" და შემდეგ კორესპონდენციები.

1905 წლის 15 (28) ივლისში გამოდის „პროლეტარიატის ბრძოლის" მეხუთე ნომერი (ქართულად № 10, სომხურად № 7, რუსულად № 2). მოწინავე წერილად დაბეჭდილია ლენინის სტატია „რევოლუციონური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები". ნომერში დაბეჭდილია სტატია „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა".

მეთერთმეტე ნომერში, რომელიც 1905 წ. 15 (28) აგვისტოს გამოვიდა, დაბეჭდილია სტატიები: „მეფის მანიფესტი და ხალხის რევოლუცია", „დროებითი რევოლუციონური მთავრობა და სოციალ - დემოკრატია", „სადღეგრძელოთი დაიწყეს და შესანდობრით გაათავეს" და „პასუხი სოციალ-დემოკრატს", რომელშიაც **„ამხანაგი სტალინი იძლევა სტიქიურობის მენშევიკური ოპორტუნისტული თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას და ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ... ავითარებს ლენინის თეზისს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ, თეზისს იმის შესახებ. რომ აუცილებელია რევოლუციური თეორია შეუერთდეს მუშათა მასობრივ მოძრაობას"** (ლ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 57, 59. მეოთხე გამოცემა).

ლენინმა პარტიის ცენტრალურ ორგანო „პროლეტარში" № 22 1905 წელს დასწერა რეცენზია გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლაზე" № 11, რომელშიაც ბრწყინვალედ შეაფასა სტალინის სტატიები.

რევოლუციის აღმავლობის წლებში საჭირო იყო მუშათა კლასის დარაზმვა და შეჭიდროვება რევოლუციისათვის, შეიარაღებული აჯანყებისათვის. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად ასრულებდა ამ ამოცანას.

გაზეთი მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა მეფის მთავრობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ, შეიარაღებული აჯანყებისაკენ. გაზეთის მეთორმეტე ნომერში (გამოვიდა 1905 წ. 28 (15) ოქტომბერს) გამოქვეყნებულ სტატიაში „რეაქცია ძლიერდება" ამხანაგი სტალინი სწერს: „...საერთო აჯანყება, აი რა გვინდა ჩვენ: ხალხის ხსნა ხალხისავე ძლევა-მოსილ აჯანყებაშია.

**სიკვდილი, ან რევოლუციის გამარჯვება** — აი როგორი უნდა იყოს დღეს ჩვენი რევოლუციონური ლოზუნგი".

გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლამ", რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ამხანაგები ი. სტალინი, ა. წულუკიძე და ს. შაუმიანი, დიდი როლი ითამაშა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური დარაზმვის საქმეში, მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებს შორის.

ვ. მამალაძე

## „ბრძოლა"

### პირველი ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი

„ერთად ერთი ხარ სხვათა მრავალში
ჭეშმარიტების მღაღადებელი,
წყვდიადით მოცულ ჩაგრული ხალხის
აღმადგენელი გამხნევებელი.
ერთად ერთი ხარ მათდა ნუგეშად
ჩემი სამშობლოს, ცისა ვარსკვლავი,
თავგანწირული გმირი მამაცი
დიად აზრების გამომსახავი"...
(გაზ. „ბრძოლა" № 2-3, 1901 წელი
ლექსიდან—„ბრძოლას").

პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური ბოლშევიკური ქართული გაზეთი „ბრძოლა" გამოდიოდა ბაქოში 1901 წლის სექტემბრიდან ამხანაგების ი. სტალინის და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით.

„ბრძოლამ" უდიდესი როლი ითამაშა მარქსიზმის იდეების პროპაგანდისა და პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში. ისევე, როგორც ლენინური „ისკრა", „ბრძოლა" თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავდა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლებს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას, ფართოდ აშუქებდა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციის საკითხებს, მძაფრად აყენებდა „ლეგალურ მარქსისტებთან", „ესერებთან", ნაციონალიზმთან ბრძოლის საკითხებს და გაბედულად რაზმავდა მუშათა მასებს ცარიზმის წინააღმდეგ.

გაზეთმა „ბრძოლამ" ძირითად ამოცანად დაისახა ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე რევოლუციური პარტიის მოწყობა. ახალი ტიპის პარტიისათვის ბრძოლა მკვეთრად ჩანს მთელ რიგ სახელმძღვანელო წერილებში, რომლებიც დაწერილია ამხანაგ ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის მიერ.

პირველივე სარედაქციო წერილიდან ირკვევა, რომ გაზეთს ღრმად ჰქონდა შეგნებული არალეგალური ბოლშევიკური პრესის შექმნის ამოცანა და აგრეთვე ის მიზნები, რომლებიც დასმული იყო ლენინის გენიალურ ნაშრომში, „რით დავიწყოთ?".

„ბრძოლის" პირველი ნომრის წერილში „რედაქციისაგან" შესანიშნავადაა განსაზღვრული არალეგალური ბოლშევიკური პრესის ამოცანები, მისი დამრაზმავი როლი და აგრეთვე მოცემულია „ლეგალური მარქსისტების" შეხედულებათა გამანადგურებელი კრიტიკა.

„ჩვენ, — სწერს გაზეთი, — დიდ შეცდომათ ჩავთვლიდით, თუ რომ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავის. მუშის, ინტერესების გამომხატველად. მუშებზე „მზრუნველ" მთავრობას მშვენივრადა აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ხროვა ჩინოვნიკებისა ცენზორებათ წოდებულნი მიჩენილი ჰყავს მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს, წითელ მელანს და მაკრატელს თუ სადმე თუნდ ჭუჭუტანიდან გამოსჭვიოდეს ეს სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი".

იხილავს რა არალეგალური ბოლშევიკური ქართული გაზეთის ამოცანებს, „ბრძოლა" სწერს: „ქართულმა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო პარტიული და მასთანავე რაიონული, ადგილობრივი ორგანოების როლი ერთს და იმავე დროს. რადგან მომეტებულ ნაწილს ქართველი მუშა მკითხველებისას არ შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს რუსული გაზეთით, ქართულ გაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ ნება აუხსნელი დასტოვონ ყველა ის კითხვები, რასაც ეხება და უნდა შეეხოს რუსეთის პარტიის საერთო გაზეთი... ქართული გაზეთი უნდა იყოს შუამავალი, შემაერთებელი ქართველ და რუს მებრძოლ მუშებისა".

ამ ამოცანას ბრწყინვალედ ანხორციელებდა გაზეთი „ბრძოლა".

გაზეთის უმთავრესი სახელმძღვანელო სტატიები და მეთაური წერილები, დაწერილი ამხანაგების ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის მიერ, სადად და უდიდესი სიღრმით აშუქებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს.

პირველსავე ნომერში „ბრძოლა" ისახავდა ამოცანად—მიეცა გარკვეული პასუხი მუშების მოძრაობით გამოწვეულ ყველა კითხვაზე, გაერკვია პრინციპული კითხვები, თეორიულად აეხსნა მუშათა კლასის როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაენათებინა ყველა მოვლენა. „ბრძოლა" წავიდა სწორედ ამ გზით და ამიტომაც ასე მებრძოლ და საყვარელ გაზეთად გადაიქცა.

გამანადგურებლად იბრძვის რა ნაციონალიზმის, „ლეგალურ მარქსიზმის" და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, „ბრძოლა" აცხადებს:

„... არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და რევოლუციონური საშუალება ბრძოლისა. თუ ჩვენ ყოველ მოძრაობას ამ არშინით დაუწყებთ ზომას—თავისუფალნი ვიქნებით ყოველგვარ ბერნშტეინიალური მიეთ-მოეთობიდან".

ერთერთ სტატიაში „ბრძოლა" მთელი სიმძაფრით აყენებს საკითხს პოლიტიკური ბრძოლის ამოცანების შესახებ. ანვითარებს რა პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ თეორიას, „ბრძოლა" გამანადგურებლად აკრიტიკებს ოპორტუნისტულ შეხედულებებს. ეხება რა მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის თეორიას და კლასთა ბრძოლის საკითხებს. გაზეთი სწერს: „...ეს გარდაქმნა, ეს შეცვლა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მშვიდობიანათ, ნებაყოფლობით, ნაბიჯობით, ან როგორც ზოგიერთი რძენაწყენი მარქსისტები იძახიან რეფორმების და კულტურულ ევოლუციის გზით. დიახ, მუშათა მოძრაობა რევოლუციური მოძრაობაა და მის ავანგარდს, მოწინავე რაზმს, შეადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია" („ბრძოლა" № 1—სტატია „პოლიტიკური ბრძოლა").

წერილი „ასი წლის იუბილეს გამო", რომელიც დაწერილია ლ. კეცხოველის მიერ ამხანაგ სტალინის დავალებით, მკაცრად ამხელს ქართველ თავადაზნაურობის ლაქიობას, (რომლებიც აღფრთოვანებული ეგებებოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეს) და ამავე დროს ცარიზმის დამმონებელ კოლონიურ პოლიტიკას.

ლ. კეცხოველის ეს წერილი, რომელიც განსაკუთრებული სიმახვილითაა დაწერილი, შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„შორს ჩვენგან, ფლიდნო ქართველნო, შორს ბილწნო მოკავშირენო, ჩვენ თქვენთან საერთო არაფერი გვაქვს; ჩვენც გვექნება ჩვენი დღესასწაული, მხოლოდ მაშინ, როცა დღევანდელი მთავრობა მისი ბოძებითურთ დაეცემა, დაირღვევა; როცა თქვენს ბაირაღს, რომელსაც აწერია: „სიფლიდე და ძალმომრეობა", შესცვლის ჩვენი ზედწარწერით: „თავისუფლება და სიყვარული!" ჩვენც ვინადიმებთ, ვიდღესასწაულებთ, მხოლოდ თქვენსავით ძალდატანებით, მატყუვრობით, ფლიდობით კი არა!!.

მაშ, შევერთდეთ მეგობრებო, შევერთდეთ, ყველა ქვეყნის მუშებო, დღევანდელი გათახსირებული მთავრობის დასამარცხებლად!!".

„ბრძოლა" სადად და დამაჯერებლად განუმარტავდა მკითხველებს დიად რევოლუციურ იდეებს.

გაზეთის მეორე ნომერში მოთავსებულია ლ. კეცხოველის სტატია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უმახლობლესი მიზნები". ამ წერილში განხილულია, როგორ ვითარდებოდა მეცნიერული სოციალიზმი, მოცემულია უტოპიური სოციალიზმის კრიტიკა. წერილი მკაფიოდ აშუქებს საკითხს რუსეთის მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ, პარტიის ხელმძღვანელ როლს და ა. შ.

წერილი „რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში" გამოხატავს რუსეთის ცარიზმის მაშინდელ საგარეო პოლიტიკას, საფრანგეთში მეფის ჩასვლის მიზნებს, რუსეთის იმპერიალიზმის ზრახვებს და ა. შ.

შესანიშნავ საუნჯეს წარმოადგენს წერილი „ნაციონალიზმი და სოციალიზმი", რომელიც იძლევა ნაციონალური საკითხის ღრმა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს.

გაზეთის მეოთხე ნომრის მეთაურ წერილში—„ბრძოლა" განხილულია კლასობრივი ბრძოლის თეორია, სტატიაში „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული" გარჩეულია ისტორიის მატერიალისტური გაგება, ლაპარაკია კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე, მუშათა მოძრაობის პროგრამასა და მისწრაფებებზე.

თუ რამდენად გამსჭვალულია ეს სტატია გამარჯვების ღრმა რწმენით, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„შორს არაა ის დრო, როდესაც კაპიტალისტური წესწყობილებისაგან შექმნილი რევოლუციონური ძალები მოსპობენ კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მოისპობა საზოგადოებაში კლასები და ბოლო მოეღება სხვადასხვაგვარ ათასნაირ ექსპლოატაციას, ასეთია ჩვენი სოციალ-დემოკრატიული რწმენა, ასეთია რწმენა ნამდვილ მარქსისტთა".

გამარჯვების რწმენით არიან გამსჭვალულნი ის მებრძოლი რევოლუციონერები, ვინც ცივ საკნებშია გამომწყვდეული. ერთერთი რევოლუციონერი ტუსაღი მეტეხის ციხეში „ბრძოლის" ფურცლებიდან ასე მიმართავს ამხანაგებს:

„ძმანო მებრძოლნო კვლავ ბრძოლა!
ლომგულს ვით გასტეხს ტყვეობა.
პირიქით, გვიასკეცდება
ვაჟკაცობა და მხნეობა!
რა სარდალია ან კი ის
მცირე დაკოდვით ვინც დრკება
და მტრისა სისხლის მორევში
მამაცურადა არ კვდება".

★

ჩვენს ხელთ არის „ბრძოლის" მხოლოდ ოთხი ნომერი (1, 2-3 და 4), მაგრამ ეს პატარა კომპლექტი უდიდეს საუნჯეს წარმოადგენს. თვითეული ფრაზა, რომელიც ტყვიასავით ვარდება, თვითეული სტრიქონი, თვითეული სიტყვა მოწმობს, თუ როგორი სიყვარულით კეთდებოდა ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი.

გაბედული და მებრძოლი კილო, მახვილი და სადა სიტყვა, პრინციპულობა, შეურიგებლობა მუშათა კლასის მტრებისადმი, გამარჯვების ღრმა რწმენა, მუშათა მასების დარაზმვის დაუცხრომელი ძალა—ასეთია ამ გაზეთის სტილი, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მშობლიური სტილი—გაზეთის მუშაობის სტალინური სტილი.

ვ. დ.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი
პარტიის II ყრილობის პერიოდში

## პარტიული ცხოვრება გაზეთ „დროს" ფურცლებზე

გაზეთ „დროს" ფურცლებზე *) სისტემატურად შუქდებოდა პარტიული მშენებლობის საკითხები. იგი გვაძლევს უძვირფასეს მასალებს ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე. გაზეთ „დრო", რომლის სულის ჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო ამხანაგი სტალინი, პარტიულ საკითხებზე ათავსებდა (თითქმის ყოველ ნომერში) მოწინავე და თეორიულ სტატიებს; გარდა ამისა, მას შემოღებული ჰქონდა სპეციალური განყოფილება — „პარტიის ცხოვრება". ამ განყოფილებაში იბეჭდებოდა წერილები არა მარტო ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და მუშაობაზე, არამედ აქ შესანიშნავი ცნობებია აგრეთვე რუსეთის მთელი რიგი ქალაქების პარტიული ორგანიზაციებიდან.

ისე, როგორც მთელი გაზეთი, პარტიული ცხოვრების მასალებიც მოუწოდებენ მუშათა კლასს გლეხობასთან ერთად ცარიზმზე გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ, რევოლუციის განვითარებისაკენ.

როგორც ცნობილია, ცარიზმმა ბურჟუაზიასთან შეკავშირებით მოახერხა რუსეთის პირველი რევოლუციის ჩაქრობა. დადგა სტოლიპინის რეჟიმის შავბნელი ეპოქა.

ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა რეაქციის წლებში ხელი აიღეს რევოლუციაზე, ამტკიცებდნენ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრდა და ცარიზმთან აშკარა ბრძოლა უნაყოფოაო.

როგორც ყოველთვის, ლენინის საუკეთესო მოწაფის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, რეაქციის წლებში **„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, ყოველ ნაბიჯზე ხდიდნენ მათ ნიღაბს, როგორც კონტრრევოლუციური, მონარქიული ბურჟუაზიის აშკარა აგენტებსა და ხელისშემწყობთ"** (ლ. ბერია).

ბოლშევიკებმა საჭიროდ ჩასთვალეს პარტიის ახალი, მეხუთე ყრილობის მოწვევა მთელი რიგი ტაქტიკური საკითხების გამოსარკვევად. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ყრილობისათვის მოსამზადებლად. გაზეთი „დრო" ფართოდ აშუქებს თავის ფურცლებზე ბოლშევიკური ორგანიზაციების ამ დიდ მუშაობას.

მენშევიკებმაც დაიწყეს მზადება მეხუთე ყრილობისათვის, დემაგოგიით და ბოლშევიკებისათვის სახელის გატეხით ისინი ცდილობდნენ ყრილობაზე დელეგატებად გაეგზავნათ მხოლოდ მენშევიკები.

მარტის შუა რიცხვებში შესდგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენცია, რომელიც მთლიანად მენშევიკებისაგან შესდგებოდა. ამ კონფერენციის გამანადგურებელი კრიტიკა მოცემულია ამხანაგ სტალინის სტატიაში, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთ „დროს" 11, 12, 14 ნომრებში სათაურით: „თბილისის ს.-დ. კონფერენცია".

თბილისის კონფერენციამ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ყრილობაზე ასარჩევი ინტელიგენტი დელეგატების საკითხი. ამხანაგი სტალინი ამ საკითხთან დაკავშირებით ააშკარავებს მენშევიკების ანტიმარქსისტულ დამოკიდებულებას ინტელიგენციისადმი.

მესამე საკითხად მენშევიკების კონფერენციამ განიხილა ბორჩალოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არსებობის საკითხი. კონფერენციამ ბორჩალოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არ არსებულად ჩასთვალა იმ მოტივით, რომ ბორჩალოდან ფული არ შემოდისო. ფაქტიურად ბორჩალოში ორგანიზაცია არსებობდა, მაგრამ თბილისის კონფერენციამ ასე იმიტომ გამოაცხადა, რომ ბორჩალოდან არჩეული ორივე დელეგატი ბოლშევიკი იყო.

ბორჩალოს ორგანიზაციამ თბილისის მენშევიკებს მიმართა სპეციალური წერილით, სადაც უმტკიცებდა მათ, რომ ისინი არსებობენ და მოითხოვდნენ წარმომადგენლის გამოგზავნას. მენშევიკებმა ეს წინადადება უარჰყვეს და, თავიანთ დადგენილებას ამოფარებულნი ჯიუტად გაიძახოდნენ, ბორჩალოში არავითარი ორგანიზაცია არ არსებობსო. თბილისის მენშევიკების ასეთი საქციელი მათი სიმტყუნის საუკეთესო ფაქტიაო, სწერს გაზეთი „დრო".

მარტის დამლევისათვის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ბორჩალოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მესამე კონფერენცია, რომელმაც დაჰგმო თბილისის მენშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილება, როგორც სინამდვილესთან შეუფერებელი. კონფერენციამ კანონიერად ჩასთვალა ორი ბოლშევიკის არჩევა დელეგატებად.

ამხანაგმა სტალინმა ბორჩალოს მაგალითზე ერთხელ კიდევ ცხადჰყო ბუნება მენშევიზმისა, რომელიც არსებით ყურადღებას აქცევს საწევრო გადასახადს, და არა პროგრამის აღიარებას, ორგანიზაციაში მუშაობას.

მენშევიკების კონფერენციის გამო თბილისის ბოლშევიკების ბიურომ, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, გამოაქვეყნა მოწოდება ბოლშევიკ ამხანაგებისადმი. მოწოდებაში დაგმობილი იყო მენშევიკების აშკარა სიმხდალე და თვალთმაქცობა. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მოეწყოს კრებები და არჩეულ იქნან ბოლშევიკი დელეგატები ყრილობაზე გასაგზავნად.

მოწოდება თბილისის მუშა ბოლშევიკებმა ერთსულოვნად მიიღეს, ბოლშევიკები თავიანთ კრებებზე ყველგან ყრილობის დელეგატად ერთხმად ირჩევდნენ ამხანაგ სტალინს.

გაზეთი „დრო" თავის მოწინავე სტატიაში — „მოწინავე პროლეტარიატი და მეხუთე სიეზდი" აჯამებს ყრილობისათვის მზადების შედეგებს.

„ირკვევა, რომ მენშევიკების ტაქტიკა—ეს მეტწილათ ჩამორჩენილი ქალაქების ტაქტიკაა, სადაც რევოლუციის წინსვლას და კლასიური შეგნების განვითარებას ალმაცერად უყურებენ.

„ირკვევა, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა—ეს უმთავრესათ მოწინავე ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ტაქტიკაა, სადაც რევოლუციის გაღრმავებას და კლასიურ შეგნების გაალმასებას უმთავრეს ყურადღებას აქცევენ".

გაზეთმა „დრომ" უდიდესი როლი შეასრულა რეაქციის წლებში ბოლშევიკების ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, მენშევიკების დამარღვეველი მუშაობის გამომშკარავებისათვის. გაზეთ „დროს" მეტად საპატიო ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში.

კ. აქბარდია

---

*) გაზეთი „დრო" ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი იყო, რომელიც გამოდიოდა ქართულ ენაზე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1907 წ. 11 მარტს. „დროში" იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის მთელი რიგი თეორიული სტატიები. კერძოდ აქ დაიბეჭდა ნაწილი სტატიისა — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი". გაზეთი გამოდიოდა ერთი თვის განმავლობაში. სულ გამოვიდა 31 ნომერი. „დრო" დახურულ იქნა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით 1907 წ. 15 აპრილს.

# ჩინეთის ფრონტებზე

**ჩუნცინი**, 16 აპრილი (საკდესი). ჩინეთის ფრონტებზე არსებული მდგომარეობა ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ხასიათდება იაპონელთა ძალების მისწრაფებით—გააფართოვონ თავიანთი ოპერაციები და მიაღწიონ გადამწყვეტ წარმატებას. იაპონელთა სარდლობის ყურადღება უმთავრესად მიპყრობილი იყო ცენტრალურ ჩინეთში შეტევითი მოქმედების გაშლისაკენ და ამასთან ნანჩანის (ძიანსის პროვინციის დედაქალაქი) დაპყრობის ამოცანისაკენ.

თითქმის 5 თვის განმავლობაში ამაგრებდნენ იაპონელები თავის პოზიციებს ხანკოუში და აგროვებდნენ ძალებს, რის შემდეგაც მარტის მეორე ნახევარში ნანჩანის დაპყრობის გეგმის შესრულებას შეუდგნენ. ნანჩანის დაცემა მოულოდნელობას არ წარმოადგენდა ჩინელთა სარდლობისათვის. ქალაქიდან თავის დროზე იქნა გაზიდული ყოველივე ის, რის ევაკუაციაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 საომარ რაიონში (ნანჩანის აღმოსავლეთით) ჩინელთა ჯარის ნაწილების მდგომარეობა ქალაქის დაცემის შემდეგ რამდენიმედ უარესდება იმის გამო, რომ მათ ხელთ აღარ ექნებათ სამოქმედოდ ჩანშიდან ნანჩანისაკენ და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით მიმავალი რკინიგზა და გზატკეცილი.

იაპონელთა ჯარის ცდამ წინ წაეწია ნანჩანის დაპყრობის შემდეგ აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ, უშედეგოდ ჩაიარა. უფრო მეტი წარმატება ჰქონდა იაპონელთა ჯარის ნაწილების წინსვლას დასავლეთისაკენ, სადაც შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ისინი ახერხებენ უნინისა, ხოლო მის შემდეგ გაოანის დაპყრობას. გამაგრდნენ რა გაოანის მიდამოებში, ჩინელთა ჯარის ნაწილებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელთა წინსვლას გაოანის დასავლეთით მდებარე გზატკეცილის გასწვრივ. იაპონელებს ამაოდ ჩაუარა ცდამ გადასულიყვნენ გაოანის რაიონში მდინარე ჩანის სამხრეთ ნაპირზე.

ნანჩანისათვის წარმოებული ბრძოლა თავისი მასშტაბით დიდი იყო, მაგრამ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. ჩინეთის არმიის მთავარმა ძალებმა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დაიწიეს, მასთან სავსებით შეინარჩუნეს ბრძოლისუნარიანობა და შემდგომი ბრძოლისათვის მზადყოფნა. ამის მკაფიო დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩინელთა ჯარმა კონტრიერიშები დაიწყო ცენტრალური ჩინეთის მთელ ფრონტზე. პირველი სამი დღის ბრძოლა ყველგან წარმატებით დაგვირგვინდა. ფრონტის ხაზმა, რომელიც დამყარდა მას შემდეგ, რაც შეჩერებულ იქნა იაპონელთა ჯარის მიერ თებერვალში დაწყებული შეტევა მდინარე ხანზე, გადაიწია მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე. ჩინეთის არმიის მთავარმა ძალებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე ხანი და მდინარის აღმოსავლეთით აწარმოებენ ოპერაციებს.

ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილის ფრონტზე ჩინელთა ჯარის ნაწილებმა ჩაფუშეს იაპონელთა ყველა ცდა წინ წაეწიათ იოჯოუდან სამხრეთის მიმართულებით, კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ. ჩინელთა ჯარმა შეუთანხმა თავისი მოქმედება პარტიზანების მოქმედებას, კონტრიერიში მიიტანა იოჯოუზე და დაიკავა ქალაქის მიდამოები. ფრონტის ამ უბანზე მდგომარეობა ამჟამად ძალთა შედარებითი წონასწორობით ხასიათდება.

შეეხო რა ცენტრალურ ჩინეთში არსებულ მდგომარეობას, ფრონტის სარდალმა გენერალმა ლი ძუნ-ჟენმა საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „ფრონტის მარცხენა ფრთაზე ჩინელთა ჯარმა 10 აპრილს გზატკეცილი გადასჭრა სინიანსა და ქალაქ ინშანს შუა. ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი დავიბრუნეთ და დავიწყეთ შეტევა ქალაქ ინშანზე. მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელზედაც დაწყებულია შეტევა, ქალაქი სინიანია.

უკანასკნელი ცნობებით, სინიანი ალყაშემორტყმულია ჩინელთა ჯარის მიერ. ქალაქის მიდამოებში პარტიზანთა დიდი რაზმი მოქმედებს, იგი 3 ათასი შეიარაღებული გლეხისაგან შესდგება. ამავე დროს ჩინელთა ჯარი გუანშუისა (ინშანის ჩრდილოეთით) და უშენგუანისაკენ (ინშანის ჩრდილო-აღმოსავლეთით) უტევს.

ფრონტის მარჯვენა ფრთაზე ჩინელთა ჯარი მდინარე ხანზე გადავიდა და ქალაქ ჯუნსიანს შემოუარა. შაიანის (ხანკოუს დასავლეთით) რაიონში იაპონელთა ზურგში მოექცნენ ჩინელთა მრავალრიცხოვანი ნაწილები. იაპონელთა მე-3, მე-13 და მე-16 დივიზიებს, რომლებიც ამ ფრონტზე მოქმედებენ, დიდი ზარალი მოსდით".

გუანდუნის პროვინციაში (სამხრეთ ჩინეთი) იაპონელთა ჯარი კანტონის ირგვლივ თავდაცვითი საზღვრების გამაგრებაზე მუშაობს. 31 მარტს იაპონელებმა ხელთ იგდეს ძიანმინი (კანტონის სამხრეთ-დასავლეთით), მაგრამ ჩინელთა ჯარის ნაწილებმა კონტრიერიში მიიტანეს მტერზე და განდევნეს ქალაქიდან.

შანსის პროვინციაში იაპონელები ამ უკანასკნელ დროს დიდ ოპერაციებს არ აწარმოებენ. მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ შანსის ჩრდილოეთ-დასავლეთით იაპონელები შეტევას ამზადებენ ჩინეთის მე-8 სახალხო რევოლუციური არმიის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც იქ მოქმედებენ.

# მსოფლიო გამოფენა ნიუ-იორკში

30 აპრილს, 150 წლისთავზე იმ დროიდან, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი ვაშინგტონი თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა, ნიუ-იორკში იხსნება მსოფლიო გამოფენა, რომელიც მიეძღვნება თემას: „მსოფლიო ხვალ".

გამოფენის ტერიტორია სამ სექტორად იყოფა: ერთ მათგანში მოთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და უცხოეთის სახელმწიფოთა პავილიონები, მეორეში — ყოველგვარი ატრაქციონი, მესამეში —35 ათასი ავტომობილის სადგომი.

გამოფენაში მონაწილეობას იღებს 62 ქვეყანა და ამერიკის შეერთებული შტატების 1300-მდე სამრეწველო ფირმა. ყველაზე დიდი პავილიონებია ამერიკის შეერთებულ შტატების, საბჭოთა კავშირის, ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიისა.

გამოფენაზე ყველაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი უკანასკნელი ტექნიკური გამოგონებანი და ახალი მიღწევები. ფართოდ არის წარმოდგენილი ნავთის, საფეიქრო, საავტომობილო, ფოლადსასხმელი მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები. აგებულია სპეციალური თემატიკური პავილიონები — წარმოების, მოხმარების, ჯანმრთელობის, კვების, საცხოვრებელი სახლების, მეცნიერებისა და განათლებისა.

კავშირგაბმულობის პავილიონში ნაჩვენები იქნება უახლესი მიღწევები საფოსტო, სატელეგრაფო და რადიოკავშირგაბმულობის დარგში, აგრეთვე ტელევიზაციის და კინოს დარგში.

რკინიგზის ტრანსპორტის პავილიონში, რომელსაც ნიუ-იორკის გამოფენაზე ერთერთი მთავარი ადგილი უკავია, განსაკუთრებით გამოირჩევა რკინიგზის მექანიზებული მოდელი, რომელსაც აქვს მოქმედი ორთქლმავლები, მოძრავი შემადგენლობა და მთელი სარკინიგზო მეურნეობა. მიმსვლელი აქ თვალნათლივ გაეცნობა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების ისტორიას.

ავიაციის პავილიონიც, რომელიც უდიდესი თვითმფრინავის სახით არის გაფორმებული არქიტექტურულად, ფრიად საინტერესო იქნება მიმსვლელთათვის.

17 აპრილი. (საკდესი).

# „ნაპერწკლიდან" მუსიკალური კომედიის თეატრში

## კიდევ ერთი სიხარული

**შალვა დადიანი**

ორდენოსანი დრამატურგი

თითქოს უცნაური საქმე მოხდა: მუსიკალურმა კომედიამ, რომელსაც თავისი გარკვეული განხრა აქვს სათეატრო მუშაობაში, ხელი მოჰკიდა მისთვის უჩვეულო საქმეს, წმინდაწყლის დრამას. დასდგა პიესა „ნაპერწკლიდან".

შიში ბევრი იყო, მაგრამ ნიჭიერმა ახალგაზრდა კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელობამ და რეჟისურამ **დუდე** ძნელაძის სახით და განსაკუთრებით მაღალნიჭიერმა **მიხ. ჭიაურელმა** თავიანთი დიდი მუშაობის ჩატარებით დასძლიეს თითქოს მათთვის დაუძლეველი დაბრკოლებანი.

სპექტაკლი გამოვიდა ღირსეული და მაღალხარისხოვანი. მუსიკალური კომედიის არტისტები სათანადო სიმაღლეზე დგანან. მხატვარი იძლევა თითქოს უბრალოს, მაგრამ მეტად დამაჯერებელ და შესაფერ მხატვრობას ყველა სცენებში. მუსიკოსი დიდად უწყობს ხელს პიესის შინაარსის ილუსტრირებას და მიხ. ჭიაურელი ხომ იძლევა პიესის მსვლელობისას, ცალკეულ ეპიზოდებში, მეტად საყურადღებო ნიუანსებს, რაც დიდად ამდიდრებს პიესის სიცხოველეს. მაგალითად, რად ღირს, როდესაც მუშა ელიშუქი მეორე მოქმედებაში რაღაც ჩარჩოზე მუშაობს და როდესაც იტყვის „ეხლა სულ სხვა ქარმა დაჰქროლაო", ამ ჩარჩოში მოთავსებულ მარქსის სურათს ჩამოჰკიდებს კედელზე!

სახეების ჩამოთვლა სიტყვას გამიგრძელებდა.

მხოლოდ სპექტაკლი რომ მაგრად არის შეკრული და გულში ჩამწვდომი, ამას ამტკიცებს პრემიერა, ქ. გორში მიცემული. აქ ხალხი აღტაცებით შეეგება წარმოდგენას და ოვაციები გაუმართა დასსა და მის ხელმძღვანელობას.

ჩემთვის კი მუსიკალური კომედიის ეს დადგმა კიდევ ერთი სიხარულის მომნიჭებელია.

„ნაპერწკლიდან" მუსიკალური კომედიის თეატრში. **სურათზე:** სცენა უკანასკნელი მოქმედებიდან—ლენინისა (ამხ. ვ. გერსამია) და სტალინის (ამხ. შ. ოდიშარია) შეხვედრა ტამერფორსის კონფერენციაზე.

## მადლობა დრამატურგსა და თეატრს

გორის სემინარიაში მე და ამხანაგი სოსო ჯუღაშვილი ერთად ვსწავლობდით. ჭაბუკი სოსოს სახე არასდროს არ დამავიწყდება. და აი სცენაზე ვნახე მსახიობი, რომელიც ახალგაზრდა სტალინის როლს ასრულებდა. მსახიობი ტანადობით ძალიან ჰგავს სოსოს. მიხვრა-მოხვრაც სერიოზული, სტალინურია, მეტყველება ალალი გრძნობებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ჩემის ფიქრით მსახიობს გადაჭარბებული პათოსი აქვს. სტალინი ყმაწვილობაშიაც აუღელვებელი, უაღრესად დამაჯერებელი, დინჯი და შთამაგონებელი იყო. მსახიობი გვაძლევს მსგავსებას, შნოიანად ასრულებს როლს და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

შალვა დადიანის პიესა სადა და ადვილად გასაგებია. ავტორს შესანიშნავად აღუდგენია ის დრო, როდესაც ახალგაზრდა სტალინი რაზმავდა მუშებსა და გლეხებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მე დიდად კმაყოფილი დავრჩი მთელი წარმოდგენით და მადლობას ვუთვლი დრამატურგსა და თეატრის მთელ კოლექტივს.

**გრ. გლურჯიძე.**

## საპატიო ამოცანა დავძლიეთ

**მიხ. ჭიაურელი**

ორდენოსანი, მუსიკ. კომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" დიდი მხატვრული შთაგონების აღმძვრელი გახდა. ორდენოსანი დრამატურგის შ. დადიანის პიესამ „ნაპერწკლიდან", რომლის დადგმა განახორციელეს ჩვენმა წამყვანმა თეატრებმა, დამსახურებული აღფრთოვანება გამოიწვია მშრომელ მასებში. მაგრამ პერიფერიის მშრომელთ არ ჰქონდათ საშუალება ენახათ ეს სპექტაკლი. პერიფერიის მაყურებელთა ფართო მასებისათვის მისი ჩვენება ჩვენმა თეატრმა იკისრა. ამ საქმეში დიდათ დაგვეხმარა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

თავისი სპეციფიკის გამო თეატრს სჭირდებოდა შემოქმედებითი არეს გაფართოება და ღრმა დრამატიული მასალის ათვისება. განსაკუთრებული სიძნელის დაძლევა მოუხდათ მსახიობებს **ვ. გერსამიას** და **შ. ოდიშარიას,** რომელთაც შეჰქმნეს **ვ. ი. ლენინის** და **ი. ბ. სტალინის** სცენიური სახეები.

მსახიობთა კოლექტივმა წარმატებით დასძლია როლები, რაშიაც უთუოდ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საშუალება ჰქონდა ენახა დადგმები რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში და თავისებურად მოესაზრებინა თვითეული როლი. რეჟისორებმა **დ. ძნელაძემ** და **გ. ფრონისპირელმა** გაუადვილეს მსახიობებს პიესის ტექსტის დაუფლება და დამახასიათებელი სცენიური სახეების მონახვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპოზიტორ **ვ. ცაგარეიშვილის** მუსიკა. მასში დაცულია ხალხური მელოდიები და ის სრულყოფილად გადმოგვცემს მოქმედების განწყობას.

მხატვრებმა **ვ. სიდამონ-ერისთავმა** და **მ. გოცირიძემ** მოგვცეს ფარდებზე ისეთი დეკორაციები, რომლებიც შლიან მაყურებლის თვალწინ მოქმედების ფონსა და ადგილს.

## დიდი მხატვრული გამარჯვება

(„ნაპერწკლიდან" მუსიკალური კომედიის თეატრში)

მუსიკალური კომედიის თეატრმა ორდენოსანი რეჟისორის მიხ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით გორში მორიგ პრემიერად გაუშვა ორდენოსანი დრამატურგის შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან". პრემიერის მიცემა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სამშობლოში, სადაც ბევრია მომსწრე მისი ყრმობისა და ჭაბუკობისა, რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისისა, ბუნებრივად, თეატრის კოლექტივისათვის მხატვრულ გამოცდას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცდა თეატრმა ბრწყინვალედ ჩააბარა.

დამდგმელს ორდენოსან რეჟისორს **მიხეილ ჭიაურელს** იმრიგად განუხორციელებია დადგმა, რომ ადვილი ტექნიკური საშუალებებით შესაძლებელი ხდება პიესის შინაარსისა და იდეის მიტანა მაყურებლამდე. თავისი მიზნის მისაღწევად რეჟისორს ოსტატურად მოუხაზავს გმირთა ხასიათები, შეუქმნია შესანიშნავი მხატვრული სცენები („ციხესთან", ლენინისა და სტალინის შეხვედრა და სხვ.), სრულყოფილი მიზანსცენები, გამოუყენებია კინო, რომლის კადრები მშვენიერ მხატვრულ ინტერპრეტაციას აძლევენ პიესის ტექსტს და ამასთანავე მუსიკაც ისე შეუხამებია ტექსტთან, რომ თეატრი ოდნავაც არ ღალატობს თავის სპეციფიკურობას.

ამის შედეგად მაყურებელმა მიიღო მაღალი მხატვრული ღირებულების სპექტაკლი, რომელიც ყოველმხრივ თეატრალურ სიამოვნებას ჰგვრის მას.

**ვ. ი. ლენინის** როლს სპექტაკლში ასრულებს მსახიობი **ვ. გერსამია.** მსახიობს მშვენივრად მიუგნია პორტრეტული მსგავსებისათვის. მისი ხმაც მიმზიდველი და მომხიბლავია თავისი სითბოთი.

წარმატებით აუთვისებია ახალგაზრდა **ი. ბ. სტალინის** როლი მსახიობ **შ. ოდიშარიას,** რომელიც თავისი გულწრფელი და ბუნებრივი თამაშით მაყურებელთა დამსახურებულ ოვაციას იწვევს.

ჩვენ გვაქვს სრულებით განსხვავებული ცნობილ დადგმებთან შედარებით საინტერესოდ მოხაზული ტიპაჟი, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ისტორიულ სიმართლეს. მსახიობთა თამაში ნათლად მოწმობს, რომ **მიხ. ჭიაურელს** და თანადამდგმელთ — **დ. ძნელაძეს** და **გ. ფრონისპირელს** — დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ სპექტაკლზე, დახმარებიან აქტიორებს ტექსტის ათვისებაში და უნაკლო სცენიური ხასიათების დახატვაში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჯერ სრულებით უცნობი თეატრალური ძალის—მსახიობ **ფ. კოპლატაძის** შესანიშნავი თამაში. იგი ანსახიერებს მოხუც მაგდანას. მისი მეტყველება აშკარავებს აქტიორის ხალას ნიჭს. ორი-სამი სიტყვიდანვე მაყურებლის წინ იხატება გურული მოხუცი ქალის ლამაზი სახე. ხმა, თამაშის ბუნებრივობა, მიმიკა და ჟესტი დიდი მხატვრული ზომიერებით არის შეზავებული მის თამაშში. მოხუცი ქალების რეპერტუარის ასეთი ამსრულებელი ჩვენს თეატრში იშვიათად მოიპოვება.

დაუვიწყარ სცენიურ სახეს იძლევა მსახიობი **ბ. ჩიჩელაშვილიც** გერვასის როლში. მის გამოჩენას სცენაზე მაყურებელი დიდი ინტერესით ხვდება.

მსახიობმა **კ. მოსეშვილმა** მოგვცა ნესტორის ნამდვილი სახე. ეს მწიგნობარი-განმანათლებელი, შეპყრობილია სიფრთხილით, რომელიც შიშში გადადის.

ის არ არის მოკლებული ირონიას. როცა დესპინე მიმართავს, რომ საჭიროა მუშათა შეკავშირება და ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისათვის, ნესტორი გამკილავი ტონით შენიშნავს — „ადი ბარემ, ადი ტრიბუნაზე!"

მსახიობი **კ. კობერიძე** იძლევა მტვირთავი მუშა დათიელას მოხდენილ სახეს, **შ. ოსეფაშვილის** ელიშუქი რეალური და ყოველმხრივ დამაჯერებელია, ცაბუს სახეს ნათელი სცენიური ფერებით იძლევა **ნ. თულაშვილი.** მსახიობის თამაშის ბევრი შესანიშნავი ადგილი უშუალო განცდით არის გამთბარი და ხიბლავს მაყურებელს. („იავნანა").

**ს. მეწულიშვილი** იძლევა ზიკოვის სრულყოფილ სცენიურ სახეს. კარგია **ვ. სარალიძე** გიმნაზიელ სერიოჟას — ნებისყოფას მოკლებული ახალგაზრდის — როლში. **ე. ციმაკურიძე** პარასკევას როლში მაღალ სცენიურ ეფექტს აღწევს. დანარჩენი მსახიობები **კ. კობერიძე** (კ. ჩხეიძე), **კ. გოცირიძე** (ს. ლომჯარია), **შ. ბარქაია** (დესპინე), **მ. ინგილო** (ლილოსი), **შ. ასათიანი** (ვარდენი), **ი. ბაკაკური** (თანდილა), **ა. ყიფიანი** (მეტიელა). **გ. ჭუმბაძე** (ზევარი) და სხვ. განსახიერებული გმირების რეალურ სახეს იძლევიან და წუთითაც არ ღალატობენ ანსამბლურ თამაშს. ბევრი მათგანი იძლევა დამახასიათებელ სცენიურ სახეებს და ფართო დიაპაზონის მსახიობებად გვევლინება.

სპექტაკლის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ **ვ. ცაგარეიშვილს.** მისი შესანიშნავი ნაშრომი ამშვენებს სპექტაკლს და ეხმარება მაყურებელს თვითეული სურათის მხატვრულ გახსნაში. განსაკუთრებული მუსიკალური ტემპერამენტით არის დაწერილი „შურ-ნანა".

მხატვრებს **ვ. სიდამონ-ერისთავს** და **მ. გოცირიძეს** კარგი დეკორაციები გაუკეთებიათ სპექტაკლისათვის.

„ნაპერწკლიდან" მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივის დიდი მხატვრული გამარჯვებაა.

**ბ. აბულაძე**

## შესანიშნავი სპექტაკლი

ახალგაზრდობისას მე კარგად ვიცნობდი ამხანაგ სტალინს, მასთან არაერთხელ მისაუბრნია გორში, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ჩემი მოუთმენელი სურვილი მენახა სცენაზე შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან". რომელშიაც სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლებია ასახული.

სპექტაკლმა ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. მსახიობი ოდიშარია, რომელიც სტალინის როლს ასრულებს ამ პიესაში, ზედმიწევნით კარგად გადმოგვცემს ახალგაზრდა სოსოს. ტანადობა და საერთო შეხედულება მთლიანად წააგავს, მისმა დანახვამ მომაგონა განვლილი ახალგაზრდობა.

ხმა, რასაკვირველია, არ არის სოსოსი და არც შეიძლება მსახიობს მოვთხოვოთ გარეგნობითაც ჰგავდეს და ხმაც ისეთი ჰქონდეს, როგორც სოსოს ჰქონდა ახალგაზრდობაში. საერთოდ წარმოდგენა კარგია.

**ალ. ციხითათრიშვილი**

## ოვანეს თუმანიანის დაბადების 70 წლისთავი

**ერევანი**, 15 აპრილი (საკდესი). დღეს სომეხი ხალხი აღნიშნავს სომხური პოეზიის უდიდესი კლასიკოსის ოვანეს თუმანიანის დაბადების 70 წლისთავს. (დაიბადა 1869 წელს, გარდაიცვალა 1923 წელს).

დღეს, საღამოს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დარბაზში საიუბილეო სხდომაზე შეიკრიბა 800-ზე მეტი მწერალი, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკი, საწარმოთა სტახანოველი, სომხეთის დედაქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

მოხსენება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. გრიგორიანმა.

სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს: სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაციის სახელით ორდენოსანმა ილია სელვინსკიმ, უკრაინის მწერალთა სახელით —ნატან რიბაკმა, საქართველოს მწერალთა სახელით—სანდრო ეულმა, აზერბაიჯანის მწერალთა სახელით — მამედ რაგიმმა და სხვ. მათ ილაპარაკეს ოვანეს თუმანიანის დიდ ქმნილებებზე და აღნიშნეს, რომ თუმანიანის მხატვრული მემკვიდრეობა საბჭოთა ხალხის კულტურაში შეტანილ უძვირფასეს განძს წარმოადგენს.

ორდენოსანმა მწერალმა ქალმა ვერა ინბერმა წაიკითხა თავისი ლექსი „ოვანეს თუმანიანს". დიდი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი თავიანთი ნაწარმოებნი წაიკითხეს ქართველმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, უკრაინელმა პოეტმა ლიუბომირ დმიტერკომ და სხვებმა.

საზეიმო სხდომა დამთავრდა დიდი კონცერტით. სომხეთის სახელმწიფო თეატრებისა და ფილარმონიის არტისტებმა შეასრულეს ნაწყვეტები ოვანეს თუმანიანის პოემების მიხედვით დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებთაგან.

## საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

### მეორე ტური

მეორე ტურში გროსმეისტერმა ბოტვინიკმა დიდი სიძლიერით ჩაატარა პარტია ლენინგრადის ჩემპიონის ტოლუშის წინააღმდეგ, შესწირა ხარისხი და მალე გაიმარჯვა.

ენერგიული თამაშით ახალგაზრდა მაესტრომ კოტოვმა გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის მაესტრო ლისიცინთან. მაკაგონოვი-პოგრებისკის, რომანოვსკი — დუბინინისა და იუდოვიჩ-კანის პარტიები ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ, რაგოზინი — ბონდარევსკი, ბელავენეცი—პანოვი, ბოტვინიკი — რომანოვსკი, კანი — ტოლუში, ჩეხოვერი — პოგრებისკი, ჩისტიაკოვი — კოტოვი, ლევენფიში — მაკაგონოვი, დუბინინი — რაბინოვიჩი და ლისიცინი—იუდოვიჩი.

## რადიო დღეს

10.00—კონცერტი - ესტრადა. 10.45—„ნაცარქექიას" ტრანსლაცია ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან. 11.45—აღმოსავლური მუსიკის კონცერტი. 12.15—საუბარი ქართულ ენაზე — „ამხანაგ სტალინის პირველი დაპატიმრება ქ. ბათუმში". 12.30 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე „ეპიზოდები ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობიდან". 17.05 — ინფორმაციები და განცხადებები. 17.15—კონცერტი ვერდის, დონიცეტის და ბელინის ნაწარმ. (გრამ.). 18.44 — საერთაშორისო მიმოხილვა ქართულ ენაზე. 19.50—ინფორმაციები და განცხადებები. 20.00—ოპერა „აბესალომ და ეთერის" ტრანსლაცია სახოპერის თეატრიდან. 23.40—საერთაშორისო მიმოხილვა რუსულ ენაზე. 24.00—კონცერტი, ტრანსლაცია მოსკოვიდან. 00.30—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

19 აპრილს ლ. კეცხოველის პარტპროპაგანდის სახლი აწყობს:

**პლეხანოვის სახელობის კლუბში** ამხ. კანტერის ლექციას თემაზე: ბოლშევიკები და მენშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**26 კომუნარის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში**—ამხ. ლარცულიანის ლექციას თემაზე: ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

25 აპრილს, დილის 11 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში შესდგება საკოლმეურნეო და ბრიგადული კედლის გაზეთების რედაქტორთა დაუსწრებელი კურსების ფრიადოსან მსმენელთა **რესპუბლიკური თათბირი.**

ყველა ის ამხანაგები, რომლებიც გამოძახებული არიან, დაუგვიანებლივ უნდა გამოცხადდნენ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

| 18/IV წარმოდგენა 167 | 20/IV წარმოდგენა 168 | 21/IV წარმოდგენა 169 |
|---|---|---|
| თოფიანი კაცი | სულელი | არსენა |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

| | | |
|---|---|---|
| 18/IV | დღისით | მათი ამბავი<br>დასაწყისი დღის 12 ს. |
| 18/IV | საღამოს | მათი ამბავი |
| 20/IV | | დები ქერარ |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. სახელმწიფო ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123, ტელ. 3-66-01
18 აპრილს საზამთრო სეზონის დახურვა
ესტრადის დიდი საღამო
მონაწილეობენ: ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის და საქ. სახელმწიფო ესტრადის საუკეთესო ძალები.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 9 საათზე. 1499

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

| 18/IV | 20/IV | 21/IV |
|---|---|---|
| მუდმ. ადგ. ტალ. № 148 | მუდმ. ადგ. ტალ. № 149 | მუდმ. ადგ. ტალ. № 150 |
| | პრემიერა | |
| აბესალომ და ეთერი | მეფის საცოლე | დაისი |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი
19 აპრილს
მათი ამბავი
დრამა 3 მოქმ. ვ. გაბესკირიასი.
**მონაწილეობენ:** ვ. ანჯაფარიძე (რესპ. დამსახ. არტ.), ბ. გამრეკელი, ი. გვინჩიძე, შ. გომელაური (რესპ. დამსახ. არტ.), ს. ზაქარიაძე, მ. მგელაძე, ა. ყორღოლიანი (რესპ. დამსახ. არტ. ორდენოსანი) და მ. ქორელი.
დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა, მხატვარი ი. გაბაშვილი, მუსიკა ა. მაჭავარიანისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 100

**ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობა აცხადებს,** რომ რაიკოოპკავშირის წარმომადგენელი ქ. თბილისში **გეგე იაკობის - ძე შანავა** თანახმად ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის 29 მარტის № 1 დადგენილებისა, **განთავისუფლებულია სამუშაოდან** ა. წ. 1 აპრილიდან და მასზე გაცემული მანდატი № 040501 1939 წლის 5 იანვრის თარიღით, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებიდან ზუგდიდის რაიკოოპკავშირის სახელზე საქონლის მიღების უფლება გაუქმებულია.

1439 **ზუგდიდის რაიკავშირის გამგეობა.**

ამხანაგები: თ. გეგეჭკორი, თ. მიქაბერიძე, ე. ჰავჯანიძე, ე. ლომიძე, ნ. შენგელაია, თ. სიხარულიძე, ნ. ცქვაშვილი და ე. მხეიძე იუწყებიან გუგულის მამის
**გიორგი (ჯიბილო) ჩიქოვანის**
გარდაცვალებას.

ქმარი გოგი ჩიქვინიძე შვილით ლამარათი, მშობლები ალექსანდრე და ფატი, დათინა კელენჯერიძეები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი
**ქეთო ალექსანდრეს-ასულ**
**კელენჯერიძე - ჩიქვინიძის**
გარდაცვალებას.

შვილები: ნიკოლოზ, მათე ცოლშვილით, შურა, გივი, ვალერიან, იობი კვინტრაძეები, სიძე დავით კოზირიძე იუწყებიან
**მელიტონ კრისტეფორეს-ძე**
**კვინტრაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/IV, ს. სეჯამისერში. 1494

კაიტანჯიანი, ბერიკაციშვილი, მანჯავიძე, ნაზარეტიანი, სომუნჯიანი, მხატვარი, ნადარეიშვილი, გაბუნია, ნადარეიშვილი იოსებ, გოგოლაშვილი, ჯაფარიძე, დგებუაძე, ოგანეზოვი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ნ. კვინტრაძეს მისი მამის
**მელიტონ კვინტრაძის**
გარდაცვალების გამო. 50

დედა მართა, ძმები კოწია და ვანო ცოლშვილით, დები ლიზა, თამარ იუწყებიან
**პარმენ (კუკულა) ყარამანის-ძე**
**დათეშიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ჯაფარიძის, 23. გამოსვენება 20 აპრილს 4½ ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 1501

არტელ „მკერავთა შრომას" მუშა-მოსამსახურეები უღრმესი მწუხარებით იუწყებიან ამავე არტელის ბუხჰალტრის მიშა ჩიჩუას შვილის პატარა
**ცუცუნას (ლივილა)**
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/IV, 4 ს. ბელინსკის, 23. 1503

მშობლები მიხეილ, ნინო, და ტამილა, დეიდა თამარ ქმარშვილით, ბებია მარიამ, ბიძები გრიშა, გოგი იუწყებიან
**პატარა ცუცუნა (ლივილა) ჩიჩუას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/IV, 4 ს. ბელინსკის, 23. 1496

საქ. ჯანსახკომის ონკოლოგიური საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი იზიარებენ ამავე საავადმყოფოს ექიმ ვერა აბრამიშვილის მწუხარებას მისი ძმის
**მიხეილ ვლადიმერის-ძე**
**აბრამიშვილის**
გარდაცვალების გამო. 1500

სერგი იესეს-ძე დანელია ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი მეგობრის, დამცველთა კოლექტივის წევრის
**სილოვან გრიგოლის-ძე გაბუნიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/IV, 5 ს. ტურგენევის, 3. 1497

დამწუხრებული მეუღლე ქიონია, შვილები გუგული, ეთერ, ლუბა იუწყებიან ძვირფასი
**გიორგი (ჯიბილო) ჩიქოვანის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 ს., ცხემის შესახ. 6. გამოსვენება 20/IV, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1498

„გასტრონომის" საქ. რესპ. კანტორის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან პარტორგანიზაციის ბიუროს წევრის, „გასტრონომის" № 2 მაღაზიის დირექტორის
**რუფერტ იბრაჰიმის-ძე სურმანიძის**
გარდაცვალებას. 1489

ცოლი ელენე, შვილი ელვერი, დედა ფედინა, რძალი აშშე სურმანიძეები, ნათესავები ჯვარშეიშვილები იუწყებიან
**რუფერტ იბრაჰიმის-ძე სურმანიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/IV, 5 ს. კრილოვის, 3. კუკიის სასაფლაოზე. 1490

პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის აქტივის წევრის, ლექტორ
**მიხეილ აბრამიშვილის**
გარდაცვალებას. 1491

ცოლი თამარ, შვილები მარიკა, ყარამან იუწყებიან
**პარმენ (კუკულა) ყარამანის-ძე**
**დათეშიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 20 აპრილს 4½ ს. ჯაფარიძის 23, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1502

თბილისის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექცია, კომკავშირი და პროფორგანიზაციები, მასწავლებლები, თანამშრომლები და მოწაფეები იუწყებიან ძვირფასი და ენერგიული მასწავლებლის
**მიხეილ ვლადიმერის-ძე**
**აბრამიშვილის**
გარდაცვალებას. 1472

უახლოესი მეგობრები: რუსუდან ხაკაშიძე, ბაბულია კობიაშვილი, მაგდა კლიმიაშვილი, შურა ნადარეიშვილი, თამარ წერეთელი მწუხარებით იუწყებიან თალიკოს ძმის
**მიხეილ ვლადიმერის-ძე**
**აბრამიშვილის**
გარდაცვალებას. 1486

შვილები გიორგი, აკაკი, ნიკანდრო, ირაკლი, მარო, ქსენია, რძლები მარო, კატუშა, ბაბი, ანტისა, სიძე კალე კაჭარავა იუწყებიან
**ვლადიმერ მაკალათიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/IV, სუჯუნაში. 1492

სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ქარხნის თანამშრომელს ამხ. თამარ დათეშიძეს მისი ძმის
**პარმენ (კუკური) ყარამანის-ძე**
**დათეშიძის**
გარდაცვალების გამო. 1504

ღრმად დამწუხრებული მშობლები სევერიანე, ბაბუცა, შვილები თაბულა, კარლო, ბიძა გრიშა, მამიდები იუწყებიან უსაყვარლესი
**ირაკლი ლეჟავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/IV, დიდ ჯიხაიში. 1493

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბოტანიკური ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს მისი მამის
**ივანე ლევანის-ძე მუსხელიშვილის**
გარდაცვალების გამო. 1495

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული—1745